



2025

შპს „ნოვა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	11

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	12
2. მომზადების საფუძველი	12
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	13
4. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში	14
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	15
6. ძირითადი საშუალებები	19
7. იჯარები	20
8. არამატერიალური აქტივები	21
9. მარაგები.....	21
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
12. გაუნაწილებელი მოგება	23
13. მიღებული სესხები	24
14. გამოშვებული ობლიგაციები	26
15. გადავადებული შემოსავალი	26
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	27
17. საგადასახადო ვალდებულებები.....	27
18. ამონაგები.....	27
19. სხვა შემოსავალი	28
20. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	28
21. კომერციული ხარჯები.....	28
22. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	28
23. ფინანსური ხარჯი.....	29
24. პოტენციური ვალდებულებები.....	29
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	30
27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	30

მმართველობის ანგარიშგება	37
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნოვას“ მფლობელსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ნოვა“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა აზრები

როგორც 14-ე შენიშვნაშია აღწერილი, 2025 წლის 17 დეკემბერს ჯგუფმა „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ საბოლოო პროსპექტუსის დამტკიცების შედეგად გამოსცა ობლიგაციები და გახდა ობლიგაციების ემიტენტი. შესაბამისად, 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება 172/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
ამონაგების აღიარება ამონაგები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელზე დაყრდნობითაც კომპანია აფასებს თავის შედეგებს. ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 27-ე შენიშვნაში - მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა. ამონაგების შესახებ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა წარდგენილია 18-ე	აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები: <ul style="list-style-type: none">შევისწავლეთ შემოსავლების ფორმირების ირგვლივ არსებული შიდა კონტროლის გარემო აუდიტისთვის მნიშვნელოვანი კონტროლების შესწავლის მიზნით;

<p>განმარტებით შენიშვნაში. რადგან, კომპანიისთვის ამონაგებიდან მიღებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს საოპერაციო ფულადი ნაკადების მთავარ მაგენერირებელ წყაროს, აუდიტის მიზნებისთვის ეს მუხლი უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გაყიდვების მოცულობისა და შემოსავლის სრულად და სწორი თანხით აღრიცხვასთან დაკავშირებული შეფასების მნიშვნელოვნების გამო.</p>	<ul style="list-style-type: none"> • გავანალიზეთ ხელშეკრულებების პირობები ფასს 15-ის მიხედვით ამონაგების აღიარების მოთხოვნებთან მიმართებით; • შერჩევითი შემოწმების გზით დავუდარეთ გამოწერილ პირველად დოკუმენტებში მოცემული თანხები და ბუღალატერიაში არსებულ გატარებებს. • შევასეთ განმარტებითი შენიშვნების შესაბამისობა ფასს 15-ის მოთხოვნებთან.
<p>მარაგები და თვითღირებულება</p> <p>მარაგებისა და თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვანი ელემენტებია ფინანსური ანგარიშისათვის. კომპანიის შემოსავლის გენერირება ხდება მარაგების რეალიზაციის შედეგად. მარაგებთან მიმართებაში სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 27-ე შენიშვნაში, ხოლო 9-ე და 19-ე ახსნა-განმარტებით შენიშვნებშია წარმოდგენილი. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შესყიდვების მოცულობისა და გაყიდვისას თვითღირებულები სწორი თანხით გაანგარიშებასთან დაკავშირებით.</p>	<p>აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შევისწავლეთ მარაგების აღრიცხვის პოლიტიკა და არსებული შიდა კონტროლის გარემო აუდიტისთვის მნიშვნელოვანი კონტროლების შესწავლის მიზნით; • გავანალიზეთ ხელშეკრულებების პირობები ბასს2-თან შესაბამისობასთან მიმართებით; • შერჩევითი შემოწმების გზით დავუდარეთ შესყიდვები პირველად დოკუმენტებში მოცემული თანხები და ბუღალატერიაში არსებულ გატარებებს. გავანალიზეთ დროში გამიჯვნისა და ჩამოწერის პოლიტიკები. • შევისწავლეთ თვითღირებულების გაანგარიშების პოლიტიკა და ტექნიკურად მისი აღრიცხვიანობა ERP სისტემაში.
<p>ფული და ფულის ექვივალენტები</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საცალო ვაჭრობას, ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ფინანსურ ანგარიშში, კერძოდ კი ფული სალაროში, ვინაიდან ასეთი ტიპის ბიზნესში დიდი ოდენობით ფული ხელზე ტრიალებს. აღნიშნული სექცია პირდაპირ კავშირშია შემოსავლებთან მიმართებაში. ფული და ფულის ექვივალენტები წარდგენილია კომპანიის 11-ე შენიშვნაში.</p>	<p>აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სალაროებთან მიმართებაში დავსწავლეთ გადათვლის პროცესს და შევისწავლეთ მისი მოძრაობის პროცესი. • ბანკებთან მიმართებაში მოვიპოვეთ კომერციული ბანკებიდან დასტურის წერილებსი. • ორივე შემთხვევაში მოვახდინეთ ფულის მოძრაობის ანალიზი შემოსავლებთან მიმართებაში საცალო ვაჭრობის ნაწილში.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-13 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა გარკვეული ნაწილი ვერ შეასრულა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2025 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგვამავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა

უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდაკონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან. ჩვენი აზრით, ჯგუფის 2025 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2025 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

14 მაისი 2026

თბილისი, საქართველო

უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამისი შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდაკონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან. ჩვენი აზრით, ჯგუფის 2025 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამება 2025 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

14 მაისი 2026

თბილისი, საქართველო



წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შპს „ნოვა“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს შპს „ნოვა“-ს 2025 წლის კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგებასა და მმართველობის ანგარიშგებისგან.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ზვიად აბულაძე

2026 წლის 14 მაისი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შპს „ნოვა“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს შპს „ნოვა“-ს 2025 წლის კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგებასა და მმართველობის ანგარიშგებისგან.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ზვიად აბულაძე



2026 წლის 14 მაისი

შპს „ნოვა“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	65,513	58,624
აქტივების გამოყენების უფლება	7	4,184	4,071
არამატერიალური აქტივები	8	249	472
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		2,405	-
		72,351	63,167
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		-	461
მარაგები	9	66,772	77,014
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	10,604	10,358
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	34,805	18,603
		112,181	106,436
სულ აქტივები		184,532	169,603
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,500	-
გაუნაწილებელი მოგება	12	66,858	54,100
სულ კაპიტალი		69,358	54,100
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	15,260	17,019
გამოშვებული ობლიგაციები	14	49,646	-
გადავადებული შემოსავალი	15	598	2,155
საიჯარო ვალდებულებები	7	3,565	3,605
		69,069	22,779
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	15,114	19,168
მიღებული სესხები	13	27,921	69,588
მოკლევადიანი გამოშვებული ობლიგაციები		219	-
საგადასახადო ვალდებულებები	17	2,010	2,916
გადავადებული შემოსავალი	15	65	392
საიჯარო ვალდებულებები	7	776	660
		46,105	92,724
სულ ვალდებულებები		115,174	115,503
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		184,532	169,603

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 14 მაისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი ქამადაძე

გენერალური დირექტორი _____ ედიშერ ხიმშიაშვილი

12-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ნოვა“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	65,513	58,624
აქტივების გამოყენების უფლება	7	4,184	4,071
არამატერიალური აქტივები	8	249	472
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		2,405	-
		72,351	63,167
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		-	461
მარაგები	9	66,772	77,014
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	10,604	10,358
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	34,805	18,603
		112,181	106,436
სულ აქტივები		184,532	169,603
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,500	-
გაუნაწილებელი მოგება	12	66,858	54,100
სულ კაპიტალი		69,358	54,100
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	15,260	17,019
გამოშვებული ობლიგაციები	14	49,646	-
გადავადებული შემოსავალი	15	598	2,155
საიჯარო ვალდებულებები	7	3,565	3,605
		69,069	22,779
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	15,114	19,168
მიღებული სესხები	13	27,921	69,588
მოკლევადიანი გამოშვებული ობლიგაციები		219	-
საგადასახადო ვალდებულებები	17	2,010	2,916
გადავადებული შემოსავალი	15	65	392
საიჯარო ვალდებულებები	7	776	660
		46,105	92,724
სულ ვალდებულებები		115,174	115,503
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		184,532	169,603

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 14 მაისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი



გიორგი ქიჩადაძე

გენერალური დირექტორი



ედიშერ ხიმშიაშვილი

12-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ნოვა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ('000 ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
ამონაგები	18	253,772	238,200
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20	(192,934)	(181,092)
საერთო მოგება		60,838	57,108
სხვა შემოსავალი	19	4,135	4,416
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	10	(212)	15
კომერციული ხარჯები	21	(27,481)	(26,241)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	22	(15,067)	(11,992)
საოპერაციო მოგება		22,213	23,306
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		1,796	(1,994)
ფინანსური შემოსავალი		63	-
ფინანსური ხარჯი	23	(10,053)	(7,882)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		595	(527)
მოგება დაბეგვრამდე		14,614	12,903
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(278)	(1,375)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,336	11,528

12-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ნოვა“**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 12)	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	50,361	50,361
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,528	11,528
გამოცხადებული დივიდენდები	-	(7,789)	(7,789)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	54,100	54,100
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,500	-	2,500
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	14,336	14,336
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,578)	(1,578)
ნაშთი 31 დეკემბერი 2025	2,500	66,858	69,358

12-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ნოვა“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგრამდე		14,614	12,903
კორექტირებები:			
ფინანსური ხარჯი	23	10,053	7,881
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული (მოგება)/ზარალი		(595)	19
სახელმწიფო გრანტის შემოსავლის ამორტიზება	15	(1,884)	(2,050)
ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	10	212	(15)
მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	9,19	443	184
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,8	9,079	8,349
იჯარის შეწყვეტიდან მიღებული შემოსავალი	7	(158)	-
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა		(1,797)	1,994
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე		29,967	29,265
მოძრაობა საბრუნავ კაპიტალში:			
(ზრდა)/შემცირება საოპერაციო აქტივებში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	(468)	(4,822)
მარაგები	9	9,799	(26,011)
საგადასახადო აქტივები	17	462	(25)
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში			
საგადასახადო ვალდებულებები	17	(910)	233
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	(3,860)	10,090
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		34,990	8,730
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	13	(9,600)	(5,341)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის გადახდა	7	(471)	(310)
გადახდილი მოგების გადასახადი	12	(278)	(1,375)
საოპერაციო საქმიანობით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		24,641	1,704
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(17,452)	(6,152)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები		1,046	50
არამატერიალურ აქტივების შეძენა		(84)	(66)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(16,490)	(6,168)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	13	481,777	424,745
ობლიგაციების ემისია		49,650	-
მიღებული სესხების დაფარვა	13	(523,571)	(410,800)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(710)	(683)
საწესდებო კაპიტალის შევსება		2,500	-
გადახდილი დივიდენდი	12	(1,578)	(7,789)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		8,068	5,473
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტში		16,219	1,009
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	18,603	17,683
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(17)	(89)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	11	34,805	18,603

12-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნოვა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია და საქმიანობს საქართველოში. კომპანიის ოფისი არის რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რ. აგლაძის ქ., N45. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202358126.

კომპანიამ 2020 წლის სექტემბერში დააარსა შპს „ნოვა ფროდაქშენი“ და წარმოადგენს მის 100%-იან მფლობელს. კომპანიამ 2021 წლის ოქტომბერში დააარსა შპს „ნოვა ფიქსი“ და „შპს ნოვა მეტალი“ და წარმოადგენს მათ 100%-იან მფლობელს. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც შპს „ნოვას“, ასევე, მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს. ნოვა და მისი შვილობილები მოხსენიებულია როგორც ჯგუფი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება, იმპორტი, გაყიდვა და ექსპორტი. კომპანია პროდუქტებს ყიდის საქართველოს ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრებისა და დისტრიბუციის არხების მეშვეობით.

საწარმოო პროცესი ხორციელდება ჯგუფის კუთვნილ ქარხნებში, თბილისსა და ბათუმში. ჯგუფის მიერ წარმოებული პროდუქტები მოიცავს: პოლიეთილენის წყლის ავზებს, პოლიეთილენის წყლის ბარიკადებს, თუნუქის გადასახურ მასალებს, თაბაშირ-მუყოსა და მეტალო-პლასტმასის პროფილებსა და აქსესუარებს.

ჯგუფის ძირითადი კლიენტები არიან საცალო გამყიდველები, სამშენებლო კომპანიები, სავაჭრო კომპანიები და ფიზიკური პირები.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს მაკონტროლებელი პირი და მფლობელები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ზვიად აბულაძე	20%	20%
ჯემალ ბოლქვაძე	20%	20%
ემზარ ირემაძე	20%	20%
ჯემალ ანთაძე	20%	20%
რამაზ ირემაძე	20%	20%
	100%	100%

დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საწესდებო კაპიტალის შესახებ მოცემულია მე-27 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

შეფასების საფუძველები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფი ოპერაციებს აღრიცხავს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), თანხები მოცემულია ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ჯგუფის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას ჯგუფი ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად ჯგუფი აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დანაგარიშება ეფუძნება ჯგუფის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ ჯგუფის მომხმარებლებზე. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები. იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს ჯგუფის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ ჯგუფის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება. ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სფეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულებების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახედვას განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

4. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია **2025 წლის 1 იანვრიდან**.

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2025 წელს, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ცხრილი — ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან				
სტანდარტი / ცვლილება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები / ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
გადაცვლადობის არარსებობა ცვლილებები ბასს 21-ში	2023 წლის აგვისტო	1 იანვარი, 2025	ბასს 21, ფასს 1	

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს იმ ცვლილებებსა და სტანდარტებს, რომელთა ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 1 იანვრის შემდგომია.

ცხრილი — ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.				
სტანდარტი / ცვლილება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები / ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში	2024 წლის აპრილი	1 იანვარი, 2027	ფასს 1, ფასს 3, ფასს 5, ფასს 6, ფასს 7, ფასს 8, ფასს 9, ფასს 12, ფასს 13, ფასს 14, ფასს 15, ფასს 16, ფასს 17, ბასს 2, ბასს 7, ბასს 8, ბასს 10, ბასს 12, ბასს 16, ბასს 19, ბასს 20, ბასს 21, ბასს 24, ბასს 28, ბასს 29, ბასს 32, ბასს 33, ბასს 34, ბასს 38, ბასს 40, ბასს 41, ფასილ 1, ფასიკ 14, ფასიკ 17, ფასიკ 19, ფასიკ 23, იმკ-32	ბასს 1

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

4. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში (გაგრძელება)

ფასს 19 შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნების გამჟღავნება	2024 წლის მაისი	1 იანვარი 2027	ფასს 1, ფასს 5, ფასს 13, ფასს 17, ფასს 18, ბასს 32, ბასს 34, ფასიკ 14	
ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები ფასს 9 -სა და ფასს 7- ში	2024 წლის მაისი	1 იანვარი 2026	ფასს 7, ფასს 9, ფასს 19	
ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება — ტომი 11	2024 წლის ივლისი	1 იანვარი 2026	ფასს 1, ფასს 7, ფასს 9, ფასს 10, ბასს 7	
ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულ ელექტროენერჯისთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ცვლილებები ფასს 9 -სა და ფასს 7- ში	2024 წლის დეკემბერი	1 იანვარი 2026	ფასს 7, ფასს 9	

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფს გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდური, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ჯგუფის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,074	8,006
ფული ბანკში	34,734	18,522
	44,808	26,528

ჯგუფი წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

ზემოთ მოცემული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები შემცირებულია მათი გაუფასურების რეზერვის თანხებით. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის გასაწინააღმდეგებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ანალიზი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	27,921	15,260	-	43,181
გამოშვებული ობლიგაციები	219	49,646	-	49,865
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,184	-	-	11,184
საიჯარო ვალდებულება	776	2,700	865	4,341
	40,100	67,606	865	108,571

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	69,588	17,019	-	86,607
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,251	-	-	18,251
საიჯარო ვალდებულება	660	2,502	1,103	4,265
	88,499	19,521	1,103	109,123

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,178	426	10,604
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,681	12,124	34,805
	32,859	12,550	45,409
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	21,371	21,810	43,181
გამოშვებული ობლიგაციები	49,865	-	49,865
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,248	2,293	11,541
საიჯარო ვალდებულებები	2,895	1,446	4,341
	83,379	25,549	108,928
ღია საბალანსო პოზიცია	(50,520)	(12,999)	(63,519)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,901	105	8,006
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,942	14,661	18,603
	11,843	14,766	26,609
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	56,912	29,695	86,607
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,847	3,404	18,251
საიჯარო ვალდებულებები	4,265	-	4,265
	76,024	33,099	109,123
ღია საბალანსო პოზიცია	(64,181)	(18,333)	(82,514)

სავალუტო რისკისადმი მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის სენსიტიურობა	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(2,600)	2,600	(3,667)	3,667

ამ ანალიზის ფარგლებში მიიჩნევა, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთი, რჩება უცვლელი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები. ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	97,168	90,872

ჯგუფი აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-ის ცვლილებას მოგება ან ზარალზე ექნება 972 ათასი ლარის ეფექტი (2024: 909 ათასი ლარი).

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად ჯგუფს მოეთხოვება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით.

რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზარზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- ჯგუფის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. კაპიტალთან ვალდებულების შეფარდების კოეფიციენტი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სულ ვალდებულებები	115,174	115,503
სულ კაპიტალი	69,358	54,100
ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან (%)	166%	213%

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	საოფისე ტექნიკა	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აქტივები	სულ
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	7,178	24,897	31,110	1,739	3,776	6,091	1,986	6,772	83,549
შემოსვლა	-	32	1,440	132	543	2,126	-	1,879	6,152
გასვლა	-	(26)	(152)	-	-	(100)	-	-	(278)
ექსპლოატაციაში გადაცემით	-	7,444	-	-	-	-	8	(7,452)	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	7,178	32,347	32,398	1,871	4,319	8,117	1,994	1,199	89,423
შემოსვლა	5,509	847	4,908	153	344	2,996	-	290	15,047
გასვლა	-	-	(99)	(166)	(541)	(827)	(54)	-	(1,687)
ექსპლოატაციაში გადაცემით	-	-	-	-	-	-	124	(124)	-
ბალანსი 2025 წლის 31 დეკემბერი	12,687	33,194	37,207	1,858	4,122	10,286	2,064	1,365	102,783
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(7,100)	(9,803)	(985)	(2,368)	(3,463)	(157)	-	(23,876)
დარიცხული ცვეთა	-	(1,223)	(3,865)	(297)	(521)	(921)	(302)	-	(7,129)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	3	148	-	-	55	-	-	206
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(8,320)	(13,520)	(1,282)	(2,889)	(4,329)	(459)	-	(30,799)
დარიცხული ცვეთა	-	(1,600)	(3,829)	(277)	(460)	(1,239)	(303)	-	(7,708)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	51	119	412	636	19	-	1,237
ბალანსი 2025 წლის 31 დეკემბერი	-	(9,920)	(17,298)	(1,440)	(2,937)	(4,932)	(743)	-	(37,270)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	7,178	24,027	18,878	589	1,430	3,788	1,535	1,199	58,624
ბალანსი 2025 წლის 31 დეკემბერი	12,687	23,274	19,909	418	1,185	5,354	1,321	1,365	65,513

2025 და 2024 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში, გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში შესულია ცვეთა 4,420 ათასი და 4,264 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბერს მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 9,534 ათასი და 8,091 ათასი ლარი, შესაბამისად.

ყველა ძირითადი საშუალებით უზრუნველყოფილია ჯგუფის მიერ აღებული სესხები. ჯგუფს არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

7. იჯარები

ჯგუფი ქირაობს სასაწყობე ფართებს და შოურუმებს. იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში. იჯარის ვადიანობა განსაზღვრულია 2-10 წლის ვადით. იჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი ლარში წარმოდგენილ საიჯარო ვალდებულებებზე 2025 და 2024 წლისთვის შეადგენდა წლიურ 13.57%-14.12% იჯარების ვადიანობის შესაბამისად, ხოლო დოლარში წარმოდგენილ საიჯარო ვალდებულებებზე 2025 და 2024 წლებისთვის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.6%-7.41%.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	4,968
ამორტიზაცია	(897)
31 დეკემბერი 2024	4,071
შემოსვლა	2,332
ამორტიზაცია	(1,063)
მოდიფიკაცია	(20)
იჯარის გაუქმება	(1,136)
31 დეკემბერი 2025	4,184

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	5,127
საპროცენტო ხარჯი	310
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(993)
გადაფასების ეფექტი	(179)
31 დეკემბერი 2024	4,265
საპროცენტო ხარჯი	471
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,181)
იჯარის გაუქმება	(1,294)
იჯარის მოდიფიკაცია	(20)
შემოსვლა	2,332
გადაფასების ეფექტი	(232)
31 დეკემბერი 2025	4,341

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

8. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ექსკლუზიური უფლება*	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	ჯამი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,087	611	309	2,007
შემოსვლა	-	66	-	66
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,087	677	309	2,073
შემოსვლა	-	84	-	84
გასვლა	-	(20)	(112)	(132)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	1,087	742	197	2,026
დაგროვილი ამორტიზაცია				
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(713)	(368)	(197)	(1,278)
ამორტიზაცია	(163)	(111)	(49)	(323)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(876)	(479)	(246)	(1,601)
ამორტიზაცია	(143)	(134)	(31)	(308)
გასვლა	-	20	112	132
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	(1,019)	(593)	(165)	(1,777)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	211	198	63	472
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	68	149	32	249

* ჯგუფი ფლობს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე "FAWORI"-სა და „ბეტეკის“ ბრენდის მიერ წარმოებული პროდუქციის დილერობის ექსკლუზიურ უფლებას.

9. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საქონელი გზაში	20,555	30,948
მზა და გასაყიდი პროდუქცია	28,510	28,729
ნედლეული	17,879	17,180
სხვა მარაგები	1,334	1,220
	68,278	78,077
მარაგების მოძველების რეზერვი	(1,506)	(1,063)
	66,772	77,014

მარაგების ნაშთები გამოყენებულია ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა. ჯგუფს არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე.

ჯგუფის მარაგების მოძველების რეზერვთან დაკავშირებული მოძრაობა ასახულია ჯგუფის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 192,934 ათასი (31 დეკემბერი 2024: 181,092 ათასი) ლარი.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	11,428	9,148
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(1,354)	(1,142)
სავაჭრო მოთხოვნები - წმინდა	10,074	8,006
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	530	2,352
	10,604	10,358

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

იმისათვის, რომ განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს ფასს 9-ის შესაბამისად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-90 დღემდე	91-დან 180 დღემდე	>180 დღეზე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	8,242	1,267	340	424	311	844	11,428
ანარიცხი							
მოსალოდნელი დანაკარგზე	(8)	(38)	(34)	(212)	(218)	(844)	(1,354)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-90 დღემდე	91-დან 180 დღემდე	>180 დღეზე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	6,992	667	260	154	299	776	9,148
ანარიცხი							
მოსალოდნელი დანაკარგზე	(34)	(20)	(26)	(77)	(209)	(776)	(1,142)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2025	2024
1 იანვარი	(1,142)	(1,157)
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(646)	(353)
ამოღება	409	368
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(237)	15
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	25	-
31 დეკემბერი	(1,354)	(1,142)

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ნაღდი ფული	71	81
ფული ბანკში	34,734	18,522
	34,805	18,603

ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების პირველ ეტაპზე, რის მიხედვითაც, მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები არ არის არსებითი.

ფულისა და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია შემდეგ ადგილობრივ ბანკებში:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ვადაგადაუცილებელი და არაგაუფასურებული:		
სს „თიბისი ბანკი“	27,837	15,013
სს „საქართველოს ბანკი“	157	88
სს „პროკრედიტ ბანკი“	-	3,421
სხვა ბანკები	6,740	-
	34,734	18,522

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

12. განაწილებელი მოგება

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 1,578 ათასი ლარისა და 7,789 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

დივიდენდის სახით განაწილებულ დაგროვილ მოგებაზე დარიცხული გადასახდელი მოგების გადასახადი და მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
გამოცხადებული დივიდენდი (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით - 5%)	1,578	7,789
გადასახდელი მოგების გადასახადი	(278)	(1,375)
მოგების გადასახადის ხარჯი	(278)	(1,375)

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვალუტა	დასრულების თარიღი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	სულ
			3.75%+სებ	
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	9/6/2026	რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 12.25%	150
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	1/16/2029	6.15%+ლიბორ	3,487
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	3/24/2028	9.25%	681
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	7/10/2026	9.25%	181
			4%+სებ	
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11/30/2026	რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 18%	8,284
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11/29/2027	3%+სებ რეფ. განაკვეთი	5,341
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	6/18/2025	3%+სებ რეფ. განაკვეთი	-
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	12/17/2025	10.00%	-
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	12/17/2015	6.20%	-
სს "პროკრედიტ ბანკი"	აშშ დოლარი	3/27/2026	6.20%	6,811
			6%+სებ რეფ. განაკვეთი	
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	12/17/2025	6%+სებ რეფ. განაკვეთი	-
სს "პროკრედიტ ბანკი"	აშშ დოლარი	11/28/2025	8.00%	-
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	11/30/2026	9.00%	5,391
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	9/10/2025	9.50%	-
სს "პროკრედიტ ბანკი"	აშშ დოლარი	11/28/2025	7.70%	5,260
			6%+NBG Refinance rate	
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	12/17/2025	6%+NBG Refinance rate	-
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	12/17/2025	14.00%	-
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4/10/2030	12.25%	7,595
				43,181
მოკლევადიანი				27,921
გრძელვადიანი				15,260
				43,181

გადასახდელი პროცენტის ნაშთმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 99 ათასი ლარი.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვალუტა	დასრულების თარიღი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	სულ
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	6/9/2026	3.75%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 12.25%	425
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	1/16/2029	6.15%+ლიბორ	4,619
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	3/24/2028	9.25%	984
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	7/10/2026	9.25%	491
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	3/27/2025	12.50%	8,753
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11/29/2027	4%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 18%	7,661
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4/20/2025	3%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მინ 10%	10,017
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4/20/2025	3%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მინ 10%	12,724
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	3/21/2025	10%	11,812
სს "პროკრედიტ ბანკი"	აშშ დოლარი	2/17/2025	6.20%	11,789
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	1/16/2029	4.5%+სებ რეფ. განაკვეთი	8,666
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	1/16/2029	4.5%+სებ რეფ. განაკვეთი	8,666
				86,607
მოკლევადიანი				69,588
გრძელვადიანი				17,019
				86,607

გადასახდელი პროცენტის ნაშთმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 332 ათასი ლარი.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არღვევდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების გარკვეულ შეზღუდვებს. აღნიშნული სესხების ღირებულებას შეადგენდა 31,132 და 74,818 ათასი ლარი შესაბამისად. აღნიშნული შეზღუდვების დარღვევა დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან. ჯგუფს კომუნიკაცია ჰქონდა ფინანსურ ინსტიტუტებთან და საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე მიიღო პატიების წერილი, რომლის მიხედვითაც ბანკები არ მოითხოვდნენ სესხების ვადაზე ადრე დაფარვას ფინანსური და არაფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

მოთხოვნილი ფინანსური კოეფიციენტების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მსესხებელს შეუძლია მოითხოვოს დარჩენილი სესხის ნაშთის სრული ანაზღაურება.

ცვლილებები მიღებულ სესხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
1 იანვარი	86,607	68,586
მიღებული სესხები	481,777	424,745
მიღებული სესხების დაფარვა	(523,571)	(410,800)
პროცენტის გადახდა, წმინდა	(9,600)	(5,341)
არაფულადი ცვლილებები:		
პროცენტის დარიცხვა	9,367	8,233
შეფასების ცვლილება	-	(663)
საკურსო სხვაობის ეფექტი	(1,398)	1,847
31 დეკემბერი	43,181	86,607

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის უძრავი და მოძრავი ქონებით. დეტალებისთვის იხილეთ მე-7 და მე-10 შენიშვნები.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

14. გამოშვებული ობლიგაციები

2025 წლის 17 დეკემბერს შპს „ნოვა“-მ გამოუშვა ბონდები (ISIN: GE 2700605332) 50,000 ათასი ლარის ოდენობით, 2030 წელს დაფარვის ვადით, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შედგება 3.25% + საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი TIBR 6M. ბონდები გამოყენებული იქნა საქართველოს კომერციული ბანკებიდან არსებული სესხების რეფინანსირებისთვის. გამოშვებული ბონდების (ობლიგაციების) შემძენები არიან: სს „ლიბერთი ბანკი“; სს „პაშა ბანკი საქართველო“; სს „თიბისი ბანკი“; EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი).

	<u>2025</u>	<u>2024</u>
1 იანვარი	-	-
ემისიიდან მიღებული ფულადი სახსრები	50,000	-
ემისიის სააგენტო მომსახურებაში გადახდილი ფულადი სახსრები	(350)	-
წმინდა ფულადი ნაკადი	49,650	-
საპროცენტო ხარჯი:	215	-
ნომინალით დარიცხული პროცენტი ხელშეკრულების მიხედვით	219	-
სააგენტო მომსახურების ხარჯის დისკონტის ეფექტი	(4)	-
31 დეკემბერი	49,865	-

შპს „ნოვას“ მიერ გაცემული ობლიგაციები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
მოკლევადიანი	219	-
გრძელვადიანი	49,646	-
სულ გამოშვებული ობლიგაციები:	49,865	-

15. გადავადებული შემოსავალი

ჯგუფსა და EBRD-ს („ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“) შორის 2017 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება საინვესტიციო პროგრამის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჯგუფს უნდა განეხორციელებინა 3 მილიონი ევროს ღირებულების ინვესტიცია ადმინისტრაციული და საწარმოო შენობების მშენებლობაში, ასევე შესაბამისი მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად, ჯგუფის საქმიანობის მასშტაბის გაზრდის მიზნით. აღნიშნული პროექტის სათანადო კრიტერიუმების შესრულების შემდეგ EBRD-ი დააფინანსებდა აღნიშნული ინვესტიციის 15%-ს, 450 ათასი ევროს ოდენობით.

ჯგუფმა 2019 წლის პერიოდში მთლიანად შეასრულა პროექტით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და 2019 წლის ივლისში EBRD-ისგან მიიღო შესაბამისი დაფინანსება - 1,458 ათასი ლარის ოდენობით (450 ათასი ევრო).

ჯგუფმა მიღებული სარგებელი განიხილა, როგორც გრანტი და წარადგინა, როგორც გადავადებული შემოსავალი. გადავადებული შემოსავალი ამორტიზდება საწარმოო და ადმინისტრაციული შენობების, ასევე შეძენილი მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მომსახურების ვადების პროპორციულად.

გარდა ამისა, ჯგუფი 2020 წლიდან მონაწილეობს პროექტში "აწარმოე საქართველო". აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ. პროგრამის ფარგლებში სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" კომპანიებს უფინანსებს საწარმოო შენობის ასაშენებლად და საწარმოო დანადგარების შესაძენად მიღებული სესხების პროცენტს, ასევე სესხებს სამეურნეო საშუალებებისთვის. რადგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, ჯგუფი მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის.

გადავადებული შემოსავლის მოკლევადიანი წილი 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 65 და 392 ათას ლარს, შესაბამისად.

გადავადებული შემოსავლის ნაშთი და პერიოდში ცვლილება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
1 იანვარი	2,547	4,597
ამორტიზება	(1,884)	(2,050)
31 დეკემბერი	663	2,547

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	10,103	14,209
ძირითადების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	3,090
გადასახდელი ხელფასები	1,081	952
	11,184	18,251
არაფინანსური ვალდებულებები		
ავანსები	3,930	917
	15,114	19,168

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ვალუტისა და ლიკვიდურობის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

17. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 2,010 ათასი ლარი და 2,916 ათასი ლარი, შესაბამისად. შვილობილ კომპანიებს აქვთ წმინდა საგადასახადო აქტივი 0 და 461 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად. ჯგუფის სხვადასხვა კომპონენტებს არ აქვთ უფლება გადახდონ ერთმანეთში საგადასახადო აქტივი და ვალდებულება.

18. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
ამონაგები საბითუმო ვაჭრობიდან	160,488	159,179
ამონაგები საცალო ვაჭრობიდან	86,559	73,168
კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო*	4,511	4,676
ამონაგები ექსპორტიდან	2,214	1,177
	253,772	238,200

* 2025 წლის განმავლობაში ჯგუფის კონსიგნაციით მიღებული საქონლის გროს რეალიზაციამ შეადგინა 20,038 ლარი (2024: 21,341 ათასი ლარი).

ჯგუფის ყველა სახის შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

	2025	2024
ამონაგები გადაყიდული პროდუქციიდან	146,971	124,209
ამონაგები წარმოებული პროდუქციიდან	102,290	109,315
კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო	4,511	4,676
	253,772	238,200

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

19. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
გრანტის შემოსავლის ამორტიზება	1,885	2,049
ვალის პატიება	625	578
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	158	-
შემოსავალი იჯარის გაუქმებიდან	156	-
დაზღვევის ანაზღაურება	122	-
მიღებული კომპენსაცია*	-	740
სხვა	1,189	1,049
	4,135	4,416

* მიღებული კომპენსაცია წარმოადგენს ლოგისტიკური კომპანიისგან მიღებულ ფულად სახსრებს, შეძენილი საქონლის გადაზიდვის ვადების დარღვევის გამო, რამაც გამოიწვია ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის დაკარგვა (მიუღებელი მოგება).

20. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	192,750	180,908
მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	184	184
	192,934	181,09

21. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
ხელფასის ხარჯი	15,226	14,306
ტრანსპორტირების ხარჯი	4,241	4,181
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	3,171	2,781
მარკეტინგული ხარჯები	1,993	2,678
სხვა	2,850	2,295
	27,481	26,241

22. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
ხელფასის ხარჯი	8,180	5,759
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,536	1,304
პროფესიონალური მომსახურება*	248	636
საოფისე ხარჯები	543	693
კომუნიკაციის ხარჯები	332	332
წარმომადგენლობითი ხარჯი	530	322
ზარალის ანაზღაურების ხარჯი	339	-
ბანკის ხარჯი	658	298
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	670	298
კომუნალური ხარჯები	320	242
დაზღვევა	199	203
სხვა	1,512	1,905
	15,067	11,992

*2025 და 2024 წლების აუდიტის ხარჯმა შეადგინა 48 ათასი ლარი და 48 ათასი ლარი, შესაბამისად.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

23. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
საპროცენტო ხარჯი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე	9,367	7,814
დაკაპიტალიზებული პროცენტი	215	-
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	471	731
შეფასების ცვლილება	-	(663)
	10,053	7,882

24. პოტენციური ვალდებულებები

სასამართლო დავები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არის მოპასუხე სასამართლო დავაში. მოთხოვნილი კომპენსაციის თანხა შეადგენს 140 ათას ევროს. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული სასამართლო დავა იქნება დასრულებული ჯგუფისთვის ხელსაყრელ შედეგით და აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არ შექმნილა ანარიცხი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, ჯგუფი გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 10,010 ათასი ლარი.

საბანკო გარანტია

ჯგუფს აქვს პირობითი ვალდებულება მიღებული საბანკო გარანტიების სახით. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების ნაშთმა შეადგინა 1,348 ათასი და 1,664 ათასი ლარი, შესაბამისად.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით ჯგუფს მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დაკმაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შეუსაბამობა ჯგუფისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და სესხის ნაადრევ გამოთხოვას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც მოცემულია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

უმადლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2025 წელს შეადგინა 2,833 ათასი ლარი (2024: 2,393 ათასი ლარი).

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2026 წელს, ჯგუფს დივიდენდი არ გამოუცხადებია. ამავე პერიოდში ჯგუფმა საწესდებო კაპიტალი 1,050 ათასი ლარით შეამცირა.

2026 წლის განმავლობაში ჯგუფმა სესხის სახით მიიღო 162,676 ათასი ლარი, ხოლო დაფარა 144,804 ათასი ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომლებიც მოითხოვს აღნიშვნას განმარტებით შენიშვნებში.

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმო. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კომპანია აკეთებს იმ ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაციას, რომელსაც აკონტროლებს დე ფაქტო გარემოებების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილების ფინანსურ ანგარიშგებებს მისი (შვილობილების) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

კომპანიის შვილობილებს, რომლების ფინანსური ანგარიშგებაც მოცულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, წარმოადგენს შპს „ნოვა ფროდაქშენი“, შპს „ნოვა ფიქსი“, შპს „ნოვა მეტალი“, რომლებიც დაარსდა კომპანიის მიერ და შესაბამისად ფლობს მის 100%-იან წილს. შვილობილების დაარსების და საქმიანობის ქვეყანა არის საქართველო.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციების შედეგები, ასევე ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების წლის ბოლოს ოფიციალური კურსის საფუძველზე გადაფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი აისახება ჯგუფის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება არ ეხება მხოლოდ არამონეტარულ მუხლებსა და წილობრივ ინსტრუმენტებს. საკურსო სხვაობის ეფექტი რეალური ღირებულებით აღირიცხული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში აისახება, როგორც „რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი“.

ჯგუფის შედეგები და ფინანსური პოზიცია საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირდება შემდეგნაირად:

- აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსებით;
- ჯგუფის მიერ განხორციელებული ოპერაციები უნდა აღირიცხოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, ოპერაციის თარიღისთვის, თუ ოპერაციის ვალუტა განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (ლარი);
- კაპიტალის კომპონენტები აღირიცხება ისტორიული კურსებით; და
- კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
<i>აშშ დოლარი</i>	
კურსი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“.

ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ

პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების ფასს 9-ის მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. დამატებითი ინფორმაცია ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-3 და მე-10 შენიშვნებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტი“-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ჯგუფმა შეაფასა რომელი ბიზნესი მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების

გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს უცვლელი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივის ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა. როდესაც ჯგუფი ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 7 იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოითხოვს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაშიფვრას. რეალური ღირებულების იერარქია:

- **დონე 1:** მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები;
- **დონე 2:** სხვა, კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული, 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება; და
- **დონე 3:** ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით.

რეალური ღირებულების იერარქიაში ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კატეგორია განისაზღვრება რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად შეფასებულია ამ სამიდან ერთ-ერთი დონით.

გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით აღიარდება მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ:

- ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და
- ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტები არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით და არ არის გრანტი გამოქვითული აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად.

გრანტი, რომელიც გადავადებულ შემოსავალშია აღიარებული, აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

აქტივების შეძენა და შესაბამისი გრანტების მიღება აღიარდება ცალკე მუხლების სახით ფულადი სახსრების

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

მოდრაობის ანგარიშგებაში.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავლები, წმინდა“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი ხარჯები მიეკუთვნება აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოღება ჯგუფში და ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი აქტივის ღირებულება ჩამოიწერება. რემონტისა და შეკეთების ყველა სხვა დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	-
შენობა-ნაგებობები	20-25
მანქანა-დანადგარები	8
საოფისე ტექნიკა	5
ავეჯი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
დაუმთავრებელი მშენებლობა	-
ექსკლუზიური უფლება	7
პროგრამული უზრუნველყოფა	6-7
სხვა არამატერიალური აქტივები	6-7

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებისა და ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა. შეფასებაში მომხდარი ყოველი ცვლილება აღირიცხება პროსპექტულად.

თუ ძირითადი საშუალებების ყოველ ერთეულს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაშინ ისინი აღირიცხება განცალკევებით (ძირითადი კომპონენტები).

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან განისაზღვრება აქტივის გასვლის შედეგად შემოსული

თანხებისა და ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების შეპირისპირებული ოდენობით და წმინდა შედეგი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები/სხვა ხარჯები.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის განიხილება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს თუ არა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულება აჭარბებს შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერებიან მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და ჩაერთვება საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა/ამორტიზაცია კორექტირდება მომავალ პერიოდებზე რომ გადანაწილდეს აქტივის შეცვლილი საბალანსო ღირებულება, გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულებით,

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სისტემატიურად მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების მანძილზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში)

გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

მარაგები

ჯგუფის მარაგები მოიცავს მზა პროდუქციას, ნედლეულსა და სხვა მარაგ ნაწილს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, შრომის ანაზღაურება, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერჯის ხარჯი და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები. წარმოების პროცესში გახარჯული ნედლეულის აღსარიცხად ჯგუფი იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს. ყოველთვიურად გახარჯული ნედლეული აკუმულირდება მზა საქონლად. ზედნადები ხარჯების გადანაწილება წარმოებულ ერთეულზე ხდება გამოყენებული ნედლეულის რაოდენობის პროპორციულად.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში ან პერიოდის შემდგომ.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლისათვის სამშენებლო მასალის მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები

ამონაგები სამშენებლო მასალის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება ავანსით, ან დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯი წარმოადგენს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რადგან აღნიშნული ხარჯები გაიწევა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს ანაწილებს კონკრეტულ მომსახურებაზე.

კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო

ჯგუფს მომწოდებლებისგან მიღებული პირობების ხასიათის შეფასებით განსაზღვრავს გარკვეული პროდუქციის რეალიზაციის გარიგებაში პრინციპალია თუ აგენტი, ჯგუფმა დაასკვნა რომ გარკვეული პროდუქციის რეალიზაციის შემოსავლებთან დაკავშირებულ გარიგებებში წარმოადგენს აგენტს, შესაბამისად მიღებულ ამონაგებს აღიარებს ნეტო საფუძველზე.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა აქტივად

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს)

დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დაბეგრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს ჯგუფს გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



შპს „ნოკვა“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

სარჩევი:

საქმიანობის მიმოხილვა	3
1. ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	3
2. იდენტიფიკაცია და იურიდიული სტატუსი.....	3
3. ჯგუფის განვითარების ისტორიული მიმოხილვა	6
4. ჯგუფის განვითარების გეგმები.....	7
5. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	9
6. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა.....	10
7. ფინანსური ინფორმაცია და დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ციფრების შესახებ	11
8. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექმნა.....	14
9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით.....	14
კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	17
10. კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა.....	17
11. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა.....	19
12. პარტნიორთა და პარტნიორთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა	20
13. მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა ..	22
14. მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა	23
15. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა	24
16. არაფინანსური საკითხები	25
17. ბიზნესმოდელის მიმოხილვა (ESG კონტექსტში).....	25
18. საქმიანობის რისკების ანალიზი.....	25
19. სოციალური პასუხისმგებლობა და CSR ინიციატივები.....	26
20. დიჯიტალიზაცია და ადამინაური რესურსის განვითარება.....	26
21. EBRD – Blue Ribbon პროგრამა და მისი გავლენა.....	27
კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება.....	28

საქმიანობის მიმოხილვა

1. ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შპს „ნოვა“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126; იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რაფაელ აგლაძის ქუჩა, N45; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა; დაარსების თარიღი: 2006 წლის 8 ნოემბერი.

საწყის წლებში ჯგუფი სამშენებლო ბაზარზე პროდუქციის იმპორტითა და რეალიზაციით იყო დაკავებული. 2011 წელს ჯგუფი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და გარდაიქმნა მრავალპროფილურ მწარმოებლად.

ჯგუფი თბილისისა და ბათუმის საწარმოებში 500-ზე მეტი დასახელების პროდუქტს აწარმოებს, მათ შორის: თუნუქის გადასახურ მასალების, წყალსაწრეტი სისტემების, თაბამირ-მუყაოს საინსტალაციო და სხვადასხვა ტიპის პროფილების, პოლიეთილენის წყლის ავზების, სხვა პოლიეთილენის პროდუქტების, შავი ლითონის პროფილებსა და ფურცლების, თბოიზოლაციის ფირფიტებსა (XPS) და წებო-ცემენტს და სხვა.

ჯგუფი პარალელურად აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ბრენდებთან და მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებული ასორტიმენტისა შემოაქვს ძირითადად თურქეთიდან და ჩინეთიდან. ნოვას ბიზნესპორტფელში წარმოდგენილია ისეთი საერთაშორისო ბრენდები, როგორცაა INGCO, Betek, Fawori, Rigips, Izocam და Bien, რაც ამყარებს კომპანიის პოზიციას როგორც ადგილობრივ წარმოებაზე, ისე მაღალი ხარისხის იმპორტირებულ ასორტიმენტზე დაფუძნებულ ბიზნესად.

2020 წლიდან ჯგუფმა გააძლიერა საცალო მიმართულება და დღეს საქართველოს 9 ქალაქში ფლობს სავაჭრო ინფრასტრუქტურას: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, მარნეული, ხაშური, ჭიათურა და ახალციხე. ამ ქსელიდან 5 სავაჭრო ობიექტი კომპანიის უშუალო მართვის ქვეშე ფუნქციონირებს, ხოლო 4 ობიექტი ფრენშიაზინგის მოდელით ოპერირებს. ამასთან, კომპანიას სომხეთში აქვს წარმოების ფრენშიაზინგის შეთანხმება, რომლის ფარგლებში ფრენშიაზინგის მიმღები „ნოვას“ ბრენდის ქვეშ აწარმოებს პოლიეთილენის ავზებს.

2. იდენტიფიკაცია და იურიდიული სტატუსი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნოვა“ (შემდგომში – „კომპანია“ ან „დედა კომპანია“) დაფუძნებულია და ოპერირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია წარმოადგენს სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოების, იმპორტის, საბითუმო და საცალო რეალიზაციის სფეროში მოქმედ მრავალპროფილურ ბიზნესს.

კომპანიის იურიდიული და კომერციული დასახელება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნოვა“

საიდენტიფიკაციო ნომერი:

202358126

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი:

საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რაფაელ აგლაძის ქუჩა №45

დაარსების თარიღი:

2006 წლის 8 ნოემბერი

მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო:

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და შესაბამისი სხვა ნორმატიული აქტებით.

საქმიანობის სფერო:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სამშენებლო და სარემონტო მასალების:

- ადგილობრივ წარმოებას;
- იმპორტს;
- საბითუმო და საცალო რეალიზაციას;
- ექსპორტს (შერჩეული პროდუქციისა და ბაზრების მიხედვით).

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

შპს „ნოვა“ წარმოადგენს კონსოლიდირებული ჯგუფის დედა კომპანიას, რომელიც სრულად ფლობს შვილობილ საწარმოებს და ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ჯგუფის სტრუქტურა და კონსოლიდაციის ფარგლები

შპს „ნოვა“ წარმოადგენს კონსოლიდირებული ჯგუფის დედა კომპანიას, რომელიც ახორციელებს კონტროლს საკუთარ შვილობილ კომპანიებზე და ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ჯგუფის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით და უზრუნველყოფს წარმოების, იმპორტის, ლოჯისტიკისა და რეალიზაციის ფუნქციების ეფექტიან განაწილებას.

ჯგუფის შემადგენლობა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფი მოიცავდა შემდეგ კომპანიებს:

- **შპს „ნოვა“** – დედა კომპანია
ძირითადი ფუნქციები: სტრატეგიული მართვა, იმპორტი, საბითუმო და საცალო რეალიზაცია, ფინანსური და ოპერაციული კონტროლი.
- **შპს „ნოვა ფროდაქშენი“** – 100%-იანი შვილობილი კომპანია
ძირითადი ფუნქციები: სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება, მათ შორის თუნუქის, თაბაშირ-მუყაოს პროფილებისა და სხვა პროდუქციის საწარმოო ოპერაციები.
- **შპს „ნოვა მეტალი“** – 100%-იანი შვილობილი კომპანია
ძირითადი ფუნქციები: ლითონის პროდუქტების წარმოება და დამუშავება.
- **შპს „ნოვა ფიქსი“** – 100%-იანი შვილობილი კომპანია
ძირითადი ფუნქციები: Nippon Paint-ის ლიცენზიის ფარგლებში **Betek**, **Fawori** და **Nova** ბრენდების ქვეშ წებო-ცემენტების წარმოება, აგრეთვე **XPS თბოიზოლაციის (საიზოლაციო) მასალების წარმოება**.

დედა კომპანია ფლობს შვილობილი კომპანიების საწესდებო კაპიტალის 100%-ს, რაც უზრუნველყოფს სრული კონტროლის განხორციელებას როგორც ფინანსურ, ისე საოპერაციო გადაწყვეტილებებზე.

კონსოლიდაციის პრინციპები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიასა და მის ყველა შვილობილ კომპანიას, რომლებზეც შპს „ნოვა“ ახორციელებს კონტროლს. კონტროლი განისაზღვრება IFRS-ის მოთხოვნების შესაბამისად და გულისხმობს:

- საქმიანობის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობას;
- შესაბამისი რისკებისა და სარგებლის მიღებას;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გადამწყვეტ ზეგავლენას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

- სრულად იშლება ჯგუფის შიდა ოპერაციები, ბრუნვები, შემოსავლები და ხარჯები;
- შიდა დავალიანებები და ვალდებულებები გამორიცხულია;
- ერთგვაროვნად გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკა ჯგუფის ყველა კომპანიაში.

კონსოლიდაციის ფარგლების ცვლილებები

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის კონსოლიდაციის ფარგლებში ცვლილებები არ განხორციელებულა. ჯგუფის შემადგენლობა დარჩა სტაბილური და მოიცავდა ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებს.

პასუხისმგებლობა და ანგარიშგაღებულება

დედა კომპანია პასუხისმგებელია ჯგუფის:

- ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე;
- სააღრიცხვო პოლიტიკის ერთგვაროვნებაზე;

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(‘000 ლარში)

- შიდა კონტროლის სისტემების ფუნქციონირებაზე;
- მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს ჯგუფის საქმიანობის გამჭვირვალობას, მართვადობას და ფინანსური ინფორმაციის სანდოობას.

მფლობელობა და საბოლოო ბენეფიციარები

შპს „ნოვა“ წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებულ კომპანიას. კომპანიის საწესდებო კაპიტალი სრულად განაწილებულია ხუთ ფიზიკურ პირზე, რომელთაგან თითოეული ფლობს თანაბარ წილს.

მფლობელთა სტრუქტურა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა იყო შემდეგი:

პარტნიორი	წილის ოდენობა
ზვიად აბულაძე	20%
ჯემალ ბოლქვაძე	20%
ემზარ ირემაძე	20%
ჯემალ ანთაძე	20%
რამაზ ირემაძე	20%
სულ	100%

პარტნიორებს შორის წილები თანაბრად არის გადანაწილებული და არც ერთ პარტნიორს არ გააჩნია მკონტროლებელი წილი ინდივიდუალურად.

საბოლოო ბენეფიციარები

ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარები არიან ზემოთ აღნიშნული ხუთი ფიზიკური პირი, რომლებიც პირდაპირ ფლობენ შპს „ნოვას“ საწესდებო კაპიტალს. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მფლობელობის სტრუქტურაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ჯგუფი არ ფლობს შვილობილ ან ასოცირებულ კომპანიებს მესამე პირების მეშვეობით და არ არსებობს არაპირდაპირი მფლობელობის სტრუქტურები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კონტროლის განაწილებაზე.

კონტროლი და მართვა

მფლობელთა თანაბარი წილების პირობებში ჯგუფის კონტროლი ხორციელდება კოლექტიური მმართველობის პრინციპის საფუძველზე. სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება პარტნიორთა საერთო კრების მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და ჯგუფის შიდა დოკუმენტების შესაბამისად.

მმართველობითი და საოპერაციო მართვა დელეგირებულია აღმასრულებელ ორგანოზე, ხოლო პარტნიორები მონაწილეობენ ჯგუფის მართვაში მათთვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

მფლობელობის სტაბილურობა

ჯგუფის მფლობელობის სტრუქტურა ხასიათდება სტაბილურობითა და გრძელვადიანი ინტერესებით. პარტნიორები აქტიურად არიან ჩართულნი ჯგუფის სტრატეგიულ განვითარებაში და უჭერენ მხარს მის ზრდას, ინსტიტუციონალიზაციასა და კორპორაციული მართვის სტანდარტების ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

საანგარიშგებო პერიოდში:

- არ განხორციელებულა წილების გადაცემა ან დათმობა;
- არ ყოფილა მესამე პირების მიერ კონტროლის მოპოვება;
- არ არსებობს შეთანხმებები, რომლებიც ზღუდავს პარტნიორთა უფლებებს ან ცვლის კონტროლის განაწილებას.

3. ჯგუფის განვითარების ისტორიული მიმოხილვა

შპს „ნოვა“ ბაზარზე ოპერირებს 2006 წლიდან და ამ პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, მრავალპროფილურ და ინსტიტუციონალიზებულ ჯგუფად საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზარზე. ჯგუფის განვითარების ისტორია ასახავს თანმიმდევრულ ტრანსფორმაციას მცირე მასშტაბის იმპორტიორი კომპანიიდან – ინტეგრირებულ მწარმოებელ, დისტრიბუტორ და საცალო ქსელის ოპერატორად.

საწყისი ეტაპი – ბაზარზე პოზიციონირების ფორმირება (2006–2010)

ნოვას საქმიანობა დაიწყო სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტითა და რეალიზაციით. საწყის ეტაპზე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა პროდუქციის ხელმისაწვდომობაზე, მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობაზე და ოპერაციული პროცესების ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება ბაზრის მოთხოვნის, ფასების დინამიკისა და მომხმარებლის ქცევის მიმართულებით, რამაც შემდგომი განვითარების საფუძველი შექმნა.

წარმოებაზე ორიენტირებული განვითარება (2011–2014)

2011 წლიდან ჯგუფმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება ადგილობრივი წარმოების განვითარების შესახებ, რაც ნოვას განვითარების ერთ-ერთ მთავარ გარდამტეხ ეტაპად იქცა. დაიწყო თუნუქის სახურავებისა და თაბაშირ-მუყაოს პროფილების წარმოება, მოგვიანებით კი დაემატა პოლიეთილენის წყლის ავზების საწარმო ბათუმში. აღნიშნულმა ნაბიჯებმა ჯგუფს მისცა შესაძლებლობა გაეზარდა მიწოდების სტაბილურობა, შეემცირებინა იმპორტზე დამოკიდებულება და დაეწყო წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ ბაზრებზე.

ინფრასტრუქტურისა და საცალო მიმართულების გაფართოება (2015–2018)

შემდგომ ეტაპზე „ნოვამ“ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა საწარმოო, სასაწყობო და საცალო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. გაიზარდა წარმოების ასორტიმენტი და წარმადობა, დაინერგა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები, პარალელურად კი დაიწყო საცალო ქსელის გაფართოება თბილისში და ბათუმში. აღნიშნულმა პერიოდმა უზრუნველყო ბიზნესის მასშტაბირება და მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქციისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესება.

მასშტაბირება, პროცესების დიჯიტალიზაცია და საცალო ქსელის გაძლიერება (2019–2020)

2019–2020 წლებში ჯგუფმა განახორციელა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები თბილისში და ბათუმში, გაიხსნა თანამედროვე მეგაცენტრები და მნიშვნელოვნად გაიზარდა საცალო ქსელის მასშტაბი. ამავე პერიოდში დასრულდა ERP სისტემის დანერგვა, რომელმაც გააერთიანა წარმოების, ლოჯისტიკის, გაყიდვების, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესები. აღნიშნულმა ნაბიჯებმა გააძლიერა მენეჯმენტის ანალიტიკური შესაძლებლობები და ოპერაციული ეფექტიანობა.

დივერსიფიკაცია და რეგიონული გაფართოება (2021–2023)

შემდგომ წლებში ჯგუფმა გააგრძელა განვითარების დივერსიფიკაცია როგორც პროდუქციის, ისე გეოგრაფიული დაფარვის ჭრილში. დაემატა ახალი საწარმოო მიმართულებები, გაფართოვდა საცალო ქსელი რეგიონებში და დაიწყო ფრენშიაზინგის მოდელის დანერგვა. ამავე პერიოდში გაძლიერდა კორპორაციული გაყიდვები და ჩამოყალიბდა ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ფართო სადისტრიბუციო არხი, რაც წარმოებისა და საცალო მიმართულებების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა.

თანამედროვე ეტაპი – ინსტიტუციონალიზაცია და მდგრადი ზრდა (2024 წლიდან)

ბოლო წლებში „ნოვას“ განვითარების ფოკუსი გადავიდა ინსტიტუციონალიზაციაზე, კორპორაციული მართვის გაძლიერებაზე და მდგრად ზრდაზე. ჯგუფი აგრძელებს წარმოების მოდერნიზაციას, საცალო და ფრენშიაზინგის ქსელის განვითარებას, ციფრული არხების გაძლიერებას (www.nova.ge, www.ingco.ge) და ფინანსური სტრუქტურის დახვეწას, მათ შორის კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენებით. აღნიშნული ნაბიჯები მიზნად ისახავს ბიზნესის სტაბილურობის ზრდას და გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფას.

2025 წელს „ნოვამ“ კაპიტალის ბაზარზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯი გადადგა. ჯგუფმა დაიმტკიცა 80 მილიონიანი მულტისავალუტო ობლიგაციების ემისიის პროსპექტი, რომლის ფარგლებშიც წარმატებით განახორციელა 50 მილიონი ლარის მოცულობის 5-წლიანი ობლიგაციების სადებიუტო ემისია. აღნიშნულ პროცესში, რომლის განთავსების ექსკლუზიური აგენტი „თიბისი კაპიტალი“ იყო, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-მა ჯგუფს „B+“ საკრედიტო რეიტინგი (სტაბილური პერსპექტივით) მიანიჭა. ეს შეფასება ხაზს უსვამს ჯგუფის ფინანსურ მდგრადობას, ბაზარზე არსებულ პოზიციებსა და კორპორაციული მართვის გაძლიერებულ სტანდარტებს. ობლიგაციების მიმართ მაღალი ნდობა დადასტურდა სრულად ინსტიტუციური ინვესტორების, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ჩართულობით, რომელიც ტრანზაქციის ერთ-ერთი სტრატეგიული ინვესტორია. ემისიის შედეგად მოზიდული სახსრები მიზნობრივად გადანაწილდა კომპანიის საჭიროებებზე: კერძოდ, 40 მილიონი ლარი მიმართა არსებული საბანკო ვალდებულებების რეფინანსირებაზე, 6 მილიონი ლარი — კაპიტალურ დანახარჯებზე, ხოლო დარჩენილი 4 მილიონი ლარი — საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფაზე. აღნიშნული ნაბიჯი დამატებით მყარ საფუძველს ქმნის ჯგუფის გრძელვადიანი, სისტემური განვითარებისა და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდისთვის.

4. ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის განვითარების სტრატეგია ეფუძნება გრძელვადიანი, მდგრადი ზრდის პრინციპს, რომელიც აერთიანებს წარმოების გაძლიერებას, საცალო და სადისტრიბუციო ქსელის განვითარებას, ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას, ციფრულ ტრანსფორმაციას და ადამიანური კაპიტალის სისტემურ განვითარებას. აღნიშნული მიმართულებები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მიზნად ისახავს ჯგუფის კონკურენტული პოზიციის განმტკიცებას საქართველოს ბაზარზე და ეტაპობრივ რეგიონულ გაფართოებას.

წარმოების გაფართოება

წარმოება წარმოადგენს ჯგუფის განვითარების ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას. „ნოვა“ განიხილავს ადგილობრივ წარმოებას როგორც იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების, მიწოდების სტაბილურობის ზრდისა და პროდუქციის მარჟის გაუმჯობესების ძირითად ინსტრუმენტს.

განვითარების გეგმები მოიცავს:

- არსებული საწარმოო ხაზების ეტაპობრივ მოდერნიზაციასა და ავტომატიზაციას;
- წარმოების წარმადობის ზრდას მოთხოვნაზე მორგებული მოცულობებით;
- ახალი პროდუქციის კატეგორიების დამატებას, რომლებიც ტექნოლოგიურად და ნედლეულის თვალსაზრისით თავსებადია ჯგუფის მიმდინარე წარმოებასთან;
- ხარისხის კონტროლის სისტემების გაძლიერებას და სტანდარტიზაციას.

წარმოებაზე დაგეგმილი ინვესტიციები მიმართულია არა მხოლოდ მოცულობის ზრდაზე, არამედ ეფექტიანობის, სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის გაუმჯობესებაზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც საცალო, ისე კორპორაციული გაყიდვების მიმართულებისთვის.

საგამოფენო და საცალო ქსელის ზრდა

საცალო ქსელი წარმოადგენს ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ საკონტაქტო წერტილს საბოლოო მომხმარებელთან და მნიშვნელოვან გაყიდვით არხს. განვითარების გეგმები ამ მიმართულებით ეფუძნება გეოგრაფიული დაფარვის ზრდასა და არსებული ობიექტების ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

სტრატეგიული პრიორიტეტებია:

- ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნა შერჩეულ რეგიონებში ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით;
- არსებული მეგაცენტრების ფორმალის გაუმჯობესება და ასორტიმენტის ოპტიმიზაცია;
- ფრენზაიზინგის მოდელის ეტაპობრივი განვითარება, რაც საშუალებას იძლევა ქსელის გაფართოება შედარებით დაბალი კაპიტალური დატვირთვით;
- მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება საგამოფენო სივრცეების, კონსულტაციის ხარისხისა და სერვისების განვითარების გზით.

აღნიშნული მიმართულება ხელს უწყობს გაყიდვების დივერსიფიკაციას და ბრენდის ცნობადობის ზრდას ქვეყნის მასშტაბით.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ჯგუფის მასშტაბის ზრდასთან ერთად, ინფრასტრუქტურის განვითარება რჩება კრიტიკულ ფაქტორად ოპერაციული სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. განვითარების გეგმები მოიცავს:

- საწარმო და სასაწყობო ინფრასტრუქტურის გაფართოებას თბილისში და ბათუმში;
- ლოჯისტიკური პროცესების ოპტიმიზაციას და მიწოდების ვადების შემცირებას;
- მარაგების მართვის გაუმჯობესებას და დანაკარგების მინიმიზაციას.

ინფრასტრუქტურული ინვესტიციები უზრუნველყოფს ჯგუფის მზარდი ოპერაციების მხარდაჭერას და ქმნის საფუძველს მომავალი გაფართოებისთვის.

ციფრული ტრანსფორმაცია

ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს ჯგუფის განვითარების ჰორიზონტალურ მიმართულებას, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ბიზნესპროცესს.

განვითარების გეგმები ამ მიმართულებით გულისხმობს:

- არსებული ERP სისტემის ფუნქციონალის გაფართოებასა და პროცესების შემდგომ დიჯიტალიზაციას;
- მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტის გაძლიერებას;
- ონლაინ გაყიდვების არხის (nova.ge) განვითარებას და ინტეგრაციას საოპერაციო სისტემებთან;
- მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) პროცესების დახვეწას.
- მონაცემთა ანალიტიკისა და ოპერაციული პროცესების ავტომატიზაციის გაუმჯობესების მიზნით, ხელოვნური ინტელექტის (AI) მოდელების ინტეგრაციას საკუთარ ციფრულ სივრცეში.

ციფრული ტრანსფორმაცია მიზნად ისახავს გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფის ზრდას, შეცდომების რისკის შემცირებას და ოპერაციული ხარჯების ოპტიმიზაციას.

ექსპორტის განვითარება

ჯგუფი განიხილავს ექსპორტს როგორც დამატებით ზრდის მიმართულებას, განსაკუთრებით იმ პროდუქციისთვის, რომელიც იწარმოება ადგილობრივ საწარმოებში და კონკურენტუნარიანია ფასისა და ხარისხის თვალსაზრისით.

განვითარების გეგმები მოიცავს:

- არსებული საექსპორტო ბაზრების გაფართოებას;
- ახალი რეგიონული ბაზრების ეტაპობრივ ათვისებას;
- პროდუქციის ადაპტაციას შესაბამისი ბაზრების მოთხოვნებსა და რეგულაციებზე;
- ლოგისტიკური და პარტნიორული მოდელების გაუმჯობესებას ექსპორტისთვის.

ექსპორტის მიმართულება ხელს უწყობს შემოსავლების გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას და წარმოების მოცულობის უკეთ ათვისებას.

ადამიანური კაპიტალის განვითარება

ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის განვითარების ერთ-ერთ ძირითად რესურსს. სტრატეგია ამ მიმართულებით ეფუძნება კომპეტენციების ზრდას, პროცესების სტანდარტიზაციასა და კორპორაციული კულტურის გაძლიერებას.

ძირითადი პრიორიტეტებია:

- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და ტრენინგების სისტემური დანერგვა;
- მენეჯერული გუნდის გაძლიერება და მემკვიდრეობის დაგეგმვა;
- შრომის უსაფრთხოების და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება;
- მოტივაციისა და შეფასების სისტემების დახვეწა.

ადამიანური კაპიტალის განვითარება განიხილება როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც პირდაპირ აისახება ჯგუფის ოპერაციულ შედეგებსა და მდგრადობაზე.

5. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით განთავსებული ფილიალებისა და საწარმო-სასაწყობო ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ბაზრის ფართო გეოგრაფიულ დაფარვას, ოპერაციულ მოქნილობას და მომხმარებელთან სიახლოვეს. ფილიალების ქსელი წარმოადგენს ჯგუფის ბიზნესმოდელის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც შემოსავლების გენერირებაში, ისე ლოჯისტიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფაში.

ფილიალების გეოგრაფია და მნიშვნელობა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფი წარმოდგენილი იყო საქართველოს 9 ქალაქში, მათ შორის: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, მარნეული, ხაშური, ჭიათურა და ახალციხე. ფილიალების განთავსება შერჩეულია სტრატეგიულად, რეგიონული მოთხოვნის, ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობისა და ლოჯისტიკური მარშრუტების გათვალისწინებით.

ფილიალების ქსელი მოიცავს:

- საკუთარ სავაჭრო ობიექტებს, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც სრულფორმატიანი მეგაცენტრები;
- ფრენშაიზინგის მოდელით მოქმედ ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯგუფის წარმომადგენლობას დამატებით რეგიონებში შედარებით დაბალი კაპიტალური დატვირთვით.

ფილიალების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია ამცირებს ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე დამოკიდებულებას და ხელს უწყობს გაყიდვების სტაბილურობას.

ფილიალების როლი ოპერაციულ საქმიანობაში

ფილიალები ასრულებენ მრავალფუნქციურ როლს ჯგუფის ოპერაციულ საქმიანობაში და უზრუნველყოფენ:

- საცალო გაყიდვებს საბოლოო მომხმარებლებისთვის;
- კორპორაციული (B2B) კლიენტების მომსახურებას რეგიონულ დონეზე;
- პროდუქციის ადგილობრივ ხელმისაწვდომობას და მიწოდების ვადების შემცირებას;
- ასორტიმენტის ადაპტაციას კონკრეტული რეგიონის მოთხოვნებზე.

ფილიალების მეშვეობით ხორციელდება პროდუქციის რეალიზაცია როგორც წარმოებული, ისე იმპორტირებული ასორტიმენტის მიხედვით, რაც ზრდის გაყიდვების მოქნილობას და მომხმარებლის დაკმაყოფილების დონეს. თითოეული ფილიალი ინტეგრირებულია ჯგუფის ცენტრალურ საოპერაციო და ფინანსურ სისტემებთან, რაც უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტების დაცვას, მარაგების კონტროლს და ფინანსური ინფორმაციის სიზუსტეს.

ფილიალების მნიშვნელობა შემოსავლის დივერსიფიკაციაში

ფილიალების ქსელი წარმოადგენს ჯგუფის შემოსავლების დივერსიფიკაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. გაყიდვების განაწილება სხვადასხვა რეგიონებსა და არხებზე ამცირებს სეზონურობისა და ლოკალური ეკონომიკური ცვლილებების გავლენას ჯგუფის საერთო ფინანსურ შედეგებზე.

ფილიალები უზრუნველყოფენ:

- შემოსავლების გენერირებას როგორც საცალო, ისე კორპორაციული გაყიდვებიდან;
- პროდუქციის კატეგორიულ დივერსიფიკაციას;
- მომხმარებელთა ბაზის გაფართოებას სხვადასხვა რეგიონში.

ფილიალების ეფექტიანობა რეგულარულად მონიტორინგდება ფინანსური და ოპერაციული მაჩვენებლების მეშვეობით, რაც მენეჯმენტს აძლევს შესაძლებლობას დროულად მოახდინოს ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღება და რესურსების ოპტიმალური გადანაწილება.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ბათუმის საწარმო-სასაწყობო ზონა

ბათუმში მდებარე საწარმო-სასაწყობო ზონა წარმოადგენს ჯგუფის ერთ-ერთ ძირითად ინფრასტრუქტურულ ჰაბს. აღნიშნულ ლოკაციაზე კონცენტრირებულია:

- საწარმო ოპერაციები (მათ შორის პოლიეთილენის ავზების წარმოება);
- სასაწყობო ფართები;
- რეგიონული ლოჯისტიკური ფუნქციები.

მიმდინარე პროექტები ბათუმის ზონაში მიმართულია საწარმო პროცესების ოპტიმიზაციასა და სასაწყობო შესაძლებლობების გაფართოებაზე, რაც ხელს უწყობს წარმოების მოცულობის ზრდას და მიწოდების ეფექტიანობას დასავლეთ საქართველოსა და საქსპორტო მიმართულებებისთვის.

თბილისის საწარმო-სასაწყობო ზონა

თბილისში განთავსებული საწარმო-სასაწყობო ზონა წარმოადგენს ჯგუფის ცენტრალურ ოპერაციულ ჰაბს. აქ თავმოყრილია:

- ძირითადი საწარმო ხაზები;
- ცენტრალური სასაწყობო ინფრასტრუქტურა;
- ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური ფუნქციები.

მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები თბილისში მიზნად ისახავს საწარმო და სასაწყობო პროცესების მოდერნიზაციას, მარაგების მართვის გაუმჯობესებას და შეკვეთების დამუშავების სისწრაფის ზრდას.

6. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

ჯგუფის საქმიანობის განვითარების პროცესში კვლევა და ანალიტიკა წარმოადგენს მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მხარდაჭერის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები არ არის კლასიკური სამეცნიერო R&D ხასიათის, თუმცა ეფუძნება ბაზრის, პროდუქციის, ოპერაციული პროცესებისა და მომხმარებლის მოთხოვნების სისტემურ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს განვითარების მიმართულებების სწორად შერჩევას და რისკების შემცირებას.

ბაზრისა და მომხმარებლის მოთხოვნის ანალიზი

ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზრის მონიტორინგს, რაც მოიცავს:

- მოთხოვნის დინამიკის შეფასებას ძირითადი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით;
- მომხმარებლის ქცევის ცვლილებების ანალიზს (ფასი, ხარისხი, მიწოდების ვადები);
- კონკურენტული გარემოს დაკვირვებას და ფასების ტენდენციების შეფასებას.

აღნიშნული ანალიზი გამოიყენება როგორც წარმოების დაგეგმვის, ისე იმპორტირებული ასორტიმენტის შერჩევისა და საცალო ქსელში პროდუქციის განაწილების პროცესში. ბაზრის კვლევების შედეგები მენეჯმენტს საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს ასორტიმენტის ოპტიმიზაცია და თავიდან აიცილოს ჭარბი მარაგების დაგროვება.

პროდუქციის განვითარება და ასორტიმენტის გაფართოება

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები აქტიურად გამოიყენება პროდუქციის განვითარების პროცესში. ეს მოიცავს:

- ახალი პროდუქციის კატეგორიების შერჩევას ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე;
- წარმოებული პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესებას;
- იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლების შესაძლებლობების შეფასებას ადგილობრივი წარმოებით.

პროდუქციის განვითარება ხორციელდება ეტაპობრივად, პილოტური წარმოებისა და ტესტირების გზით, რის შედეგადაც ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ახალი პროდუქციის სრულმასშტაბიან წარმოებაზე ან რეალიზაციაზე.

აღნიშნული მიდგომა ამცირებს ინვესტიციის რისკს და ზრდის პროდუქციის კომერციულ წარმატებას.

ოპერაციული პროცესების ანალიზი და გაუმჯობესება

ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს ოპერაციული პროცესების ანალიზს, რომელიც მოიცავს:

- წარმოების ეფექტიანობის შეფასებას;
- მარაგების მართვისა და ლოჯისტიკური პროცესების ოპტიმიზაციას;
- ხარჯების სტრუქტურის ანალიზს.

ERP სისტემის დანერგვამ და გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის შესაძლებლობები. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება წარმოების დაგეგმვის, შესყიდვების, ლოჯისტიკისა და გაყიდვების პროცესების სინქრონიზაციისთვის, რაც ხელს უწყობს საოპერაციო ეფექტიანობის ზრდას.

ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია

კვლევებისა და ანალიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება ხარისხის კონტროლის პროცესებს. ჯგუფი ახორციელებს:

- წარმოებული პროდუქციის ხარისხის რეგულარულ მონიტორინგს;
- ნედლეულის შესაბამისობის შემოწმებას;
- ტექნიკური პარამეტრებისა და სტანდარტების დაცვას.

ხარისხის კონტროლის პროცესების განვითარება ხელს უწყობს პროდუქციის სტაბილურობას, მომხმარებლის ნდობის ზრდას და საჩივრების შემცირებას, რაც პირდაპირ აისახება ჯგუფის რეპუტაციაზე და ფინანსურ შედეგებზე.

კვლევების როლი სტრატეგიულ განვითარებაში

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და ანალიტიკური საქმიანობა წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველს. კვლევების შედეგები გამოიყენება:

- განვითარების გრძელვადიანი გეგმების ფორმირებაში;
- საინვესტიციო პროექტების შერჩევასა და პრიორიტეტიზაციაში;
- ახალი ბაზრებისა და პროდუქციის მიმართულებების შეფასებაში.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ განვითარების გადაწყვეტილებები მიიღება არა ინტუიციურად, არამედ ფაქტებზე და ანალიზზე დაფუძნებით, რაც ზრდის ჯგუფის მდგრადობას და გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.

7. ფინანსური ინფორმაცია და დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ციფრების შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად და ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ქვემოთ წარმოდგენილი განმარტებები მიზნად ისახავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ძირითადი მაჩვენებლების შინაარსობრივ ანალიზს და მათი ცვლილებების მიზეზების ახსნას.

შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად მიიღება სამშენებლო და სარემონტო მასალების:

- საცალო რეალიზაციიდან;
- საბითუმო და კორპორაციული (B2B) გაყიდვებიდან;
- წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციიდან.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

2025 წელს ჯგუფის კონსოლიდირებულმა ამონაგებმა აჩვენა ზრდის ტენდენცია 2024 წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო:

- საბაზო ქსელის გაფართოებით და გაყიდვების ზრდით რეგიონებში;
- წარმოებული პროდუქციის წილის ზრდით საერთო გაყიდვებში;
- ასორტიმენტის გაფართოებით და ფასების ნაწილობრივი კორექციით ბაზრის პირობებიდან გამომდინარე.

შემოსავლების სტრუქტურა ხასიათდება დივერსიფიკაციით როგორც არხების, ისე პროდუქციის კატეგორიების მიხედვით, რაც ამცირებს ერთ კონკრეტულ სექტორზე დამოკიდებულებას.

საქმიანობის კოეფიციენტების შედარება

წარმოგიდგინთ 2025 და 2024 წლების საქმიანობის კოეფიციენტების შედარებას.

საქმიანობის კოეფიციენტები				
	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
მარაგების ბრუნვა (წელი)	2.89	0.54	23%	2.35
მარაგების ბრუნვა (დღე)	126	-28.9	-19%	155
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა				
	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი)	25.19	-4.56	-15%	29.75
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე)	14	2.22	18%	12
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა				
	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი)	19.1	6.35	50%	12.74
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)	19	-9.53	-33%	29
ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი				
	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი	122	-17.16	-12%	139

2025 წელს ჯგუფის საქმიანობის კოეფიციენტებში მნიშვნელოვანი პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება, რაც ძირითადად მარაგების მართვის ოპტიმიზაციით არის განპირობებული. საქონლის ტვირთბრუნვის კოეფიციენტი გაიზარდა 0.54-ით, რის შედეგადაც მარაგების შენახვის საშუალო პერიოდი 155-დან 126 დღემდე შემცირდა. ეს მიუთითებს ჯგუფის მიერ მარაგების უფრო ეფექტიან მართვასა და რეალიზაციის ტემპების დაჩქარებაზე.

მეორე მხრივ, სავაჭრო მოთხოვნების ამოღების საშუალო პერიოდი მცირედით გაზარდეს და 12-დან 14 დღემდე გაიზარდა. ამავდროულად, ჯგუფმა დააჩქარა მომწოდებლების მიმართ ვალდებულებების დაფარვა, რის გამოც სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა 29-დან 19 დღემდე იკლო.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად მოთხოვნების ამოღების პერიოდის მცირედი ზრდისა და ვალდებულებების უფრო სწრაფად დაფარვისა, მარაგების ბრუნვის მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ უზრუნველყო ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის (Cash Conversion Cycle) ეფექტიანობის ზრდა. აღნიშნული ციკლი 12%-ით გაუმჯობესდა და 2025 წელს 139-ის ნაცვლად 122 დღით განისაზღვრა, რაც ჯგუფის საოპერაციო ლიკვიდურობის გააუმჯობესებას უსვამს ხაზს.

კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

მარაგების ბრუნვა (წელი) = გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება / მარაგები

მარაგების ბრუნვა (დღე) = 365 / მარაგების ბრუნვა (წელი)

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი) = ამონაგები / სავაჭრო მოთხოვნები

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე) = 365/ სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი)

სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი) = გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება/

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე) = 365/სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი)

ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი = მარაგების ბრუნვა (დღე) + სავაჭრო მოთხოვნების

ბრუნვა (დღე) - სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
მიმდინარე ლიკვიდურობა	2.43	1.29	112%	1.15
სწრაფი ლიკვიდურობა	0.97	0.69	239%	0.29

სასესხო ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტები

	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან	50%	-0.01	-1%	51%
სასესხო ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან	1.34	-0.26	-16%	1.6

უკუგების კოეფიციენტები

	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
აქტივების უკუგება (ROA)	8%	0.01	14%	7%
კაპიტალის უკუგება (ROE)	21%	-0.01	-3%	21%

ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

მიმდინარე ლიკვიდურობა = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდურობა = (ფული და ფულის ეკვივალენტები+სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)/

მიმდინარე ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან = სასესხო ვალდებულებები/ სულ აქტივები

სასესხო ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან = სასესხო ვალდებულებები/ სულ კაპიტალი

უკუგების კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

აქტივების უკუგება (ROA) = წლის მოგება/სულ აქტივები

კაპიტალის უკუგება (ROE) = წლის მოგება/სულ კაპიტალი

000'	2025	ცვლილება	ტრენდი	2024
ამონაგები	253,772	15,572	7%	238,200
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(192,934)	(11,842)	7%	(181,092)
მთლიანი შემოსავალი	60,838	3,730	7%	57,108
მთლიანი შემოსავლის მარჟა	23.97%	0.00%	0%	23.97%
კომერციული ხარჯი	27,481	1,240	5%	26,241
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15,067	3,075	26%	11,992
ფინანსური ხარჯი	10,053	2,171	28%	7,882

ჯგუფს აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება: წარმოება, საცალო, საბითუმო რეალიზაცია და პროექტები. 2025 წელს ჯგუფის საქმიანობა კვლავ მზარდია, რის შედეგადაც ამონაგები 7%-ით გაიზარდა და 253,772 ათასი ლარი შეადგინა. ამონაგების ზრდის პროპორციულად (7%-ით) გაიზარდა გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაც,

რამაც უზრუნველყო მთლიანი შემოსავლის 60,838 ათას ლარამდე ზრდა. აღსანიშნავია, რომ ჯგუფმა შეინარჩუნა სტაბილური ფასნამატი, რის გამოც მთლიანი შემოსავლის მარჯა უცვლელი დარჩა და 23.97%-ს შეადგენს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტიურად არის ჩართული მიმართულებების სიდრმისეულ ანალიზში, რაც საერთო ჯამში ჯგუფს მეტად დივერსიფიცირებულს ხდის. საოპერაციო საქმიანობის ზრდასთან ერთად, კომერციული ხარჯები მცირედით (5%-ით) გაიზარდა. პარალელურად, ფიქსირდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების 26%-იანი ზრდა, რამაც 15,067 ათასი ლარი შეადგინა. მიუხედავად გაზრდილი საოპერაციო დანახარჯებისა, ჯგუფმა შეძლო აქტივებიდან მეტი სარგებლის გენერირება, რის შედეგადაც აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA) 7%-დან 8%-მდე გაუმჯობესდა, ხოლო კაპიტალის უკუგებამ (ROE) მყარი 21% შეადგინა.

ფინანსური სტრუქტურის კუთხით 2025 წელს პოზიტიური ტენდენცია ფიქსირდება: ჯგუფმა შეამცირა სასესხო ტვირთის წილი, რაც აისახა სასესხო ვალდებულებების კაპიტალთან შეფარდების 1.6-დან 1.34-მდე კლებაში. თუმცა, მიმდინარე და წინა პერიოდებში მოზიდული სახსრების მომსახურების გამო, ფინანსური ხარჯი 28%-ით არის გაზრდილი და 10,053 ათას ლარს შეადგენს. მიუხედავად ფინანსური დანახარჯების ზრდისა, ჯგუფის ფინანსური მდგრადობა რადიკალურად არის გაუმჯობესებული: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.15-დან 2.43-მდე გაიზარდა (112%-იანი ზრდა), ხოლო სწრაფი ლიკვიდურობა გასამმაგდა და 0.97 შეადგინა (239%-იანი ზრდა), რაც ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის უმაღლეს უნარსა და ფინანსურ სიჯანსაღეზე მიუთითებს.

8. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

ჯგუფი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და, შესაბამისად, არ გააჩნია სააქციო კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა ჯგუფის მიერ საკუთარი წილების ან ეკონომიკურად ანალოგიური ინსტრუმენტების შეძენა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ჯგუფისთვის მატერიალურ გავლენას არ წარმოადგენდა.

9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

ჯგუფის ხელმძღვანელობა (მენეჯმენტი) პასუხისმგებელია რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. აღნიშნული პოლიტიკის დაცვისა და დასახული მიზნების ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად, მენეჯმენტს შესაბამისი პროცესების მართვა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელ პირებზე აქვს დელეგირებული. საერთო მიზანს წარმოადგენს ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკებს და, ამავდროულად, უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის მოქნილობასა და კონკურენტუნარიანობაზე.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- › საკრედიტო რისკი
- › ლიკვიდურობის რისკი
- › საბაზრო რისკი
- › სავალუტო რისკი
- › საპროცენტო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შესაძლოა ფინანსური ზარალი განიცადოს მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნული რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას წარმოადგენს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,074	8,006
ფული და ფულის ეკვივალენტები	34,734	18,522
	44,808	26,528

ჯგუფი წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

ზემოთ მოცემული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები შემცირებულია მათი გაუფასურების რეზერვის თანხებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ალბათობას, რომ ჯგუფს მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვისა და საკონტრაქტო პირობების შესრულების კუთხით სირთულეები შეექმნება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მის შემდგომ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული რისკის სამართავად და შესამცირებლად, მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციას ეფუძნება, ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ფინანსური ვალდებულების ლიკვიდურობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	27,921	15,260	-	43,181
გამოშვებული ობლიგაციები	219	49,646	-	49,865
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,184	-	-	11,184
საიჯარო ვალდებულება	776	2,700	865	4,341
	40,100	67,606	865	108,571

ფინანსური ვალდებულების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	69,588	17,019	-	86,607
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,251	-	-	18,251
საიჯარო ვალდებულება	660	2,502	1,103	4,265
	88,499	19,521	1,103	109,123

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ალბათობა იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად შემცირდება ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ან შეიცვლება მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები. კომპანიის წინაშე ეს რისკი წარმოიშობა პროცენტული და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა თუ ვალდებულებების ფლობისას. შესაბამისად, საბაზრო რისკი აერთიანებს სავალუტო რისკს (გაცვლითი კურსის არასასურველი მერყეობა) და საპროცენტო რისკს (საპროცენტო განაკვეთების ცვლილება).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი უკავშირდება ვალუტათა გაცვლითი კურსების მერყეობას და არსებით გავლენას ახდენს კომპანიის საერთო ფინანსურ მაჩვენებლებზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რადგან უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ტრანზაქციებისა და ვალდებულებების არსებობის გამო, მისი ფინანსური მდგომარეობა და საოპერაციო ფულადი ნაკადები პირდაპირ განიცდის სავალუტო კურსების ცვლილების გავლენას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,178	426	10,604
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,681	12,124	34,805
	32,859	12,550	45,409
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
მიღებული სესხები	21,371	21,810	43,181
გამოშვებული ობლიგაციები	49,865	-	49,865
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,248	2,293	11,541
საიჯარო ვალდებულება	2,895	1,446	4,341
	83,379	25,549	108,928
ღია საბალანსო პოზიცია	(50,520)	(12,999)	(63,519)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,901	105	8,006
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,942	14,661	18,603
	11,843	14,766	26,609
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
მიღებული სესხები	56,913	29,695	86,608
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,847	3,404	18,251
საიჯარო ვალდებულება	4,265	-	4,265
	76,025	33,099	109,124
ღია საბალანსო პოზიცია	(64,182)	(18,333)	(82,515)

სავალუტო რისკისადმი მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის სენსიტიურობა	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(2,600)	2,600	(3,667)	3,667

ამ ანალიზის ფარგლებში მიიჩნევა, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთი, რჩება უცვლელი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები. ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის.

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	97,168	90,872

ჯგუფი აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-ის ცვლილებას მოგება ან ზარალი ექნება 972 ათასი ლარის ეფექტი (2024: 909 ათასი ლარი).

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

10. კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა

კორპორაციული მართვის ჩარჩო და მიდგომა

შპს „ნოვა“ და შვილობილი კომპანიები კორპორაციულ მართვას განიხილავს როგორც სტრატეგიული მართვის, რისკების კონტროლისა და გრძელვადიანი ღირებულების შექმნის ძირითად ინსტრუმენტს. კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემა ჩამოყალიბებულია ეტაპობრივად და მორგებულია ჯგუფის საქმიანობის მასშტაბზე, ბიზნესმოდელზე და განვითარების სტადიაზე.

კორპორაციული მართვის პრაქტიკა ეფუძნება:

- საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსის ძირითად პრინციპებს;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც გამოიყენება კერძო და კაპიტალის ბაზარზე აქტიურ კომპანიებში.

კორპორაციული მართვის სტრუქტურა

ჯგუფის კორპორაციული მართვის სტრუქტურა ეფუძნება ორგანოთა ფუნქციურ გამოიჯვანს და მოიცავს:

- პარტნიორთა საერთო კრებას;
- მმართველ ორგანოს (აღმასრულებელი მენეჯმენტი);
- სამეთვალყურეო საბჭოს.

აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს:

- სტრატეგიული გადაწყვეტილებების ზედამხედველობას;
- მენეჯმენტის ანგარიშვალდებულებას;
- ფინანსური და საოპერაციო რისკების კონტროლს.

სამეთვალყურეო საბჭო და მმართველი ორგანო მოქმედებენ მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ზრდის გადაწყვეტილებების ხარისხს.

სამეთვალყურეო საბჭო და დამოუკიდებელი წევრები

ჯგუფის კორპორაციული მართვის სისტემაში სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს სტრატეგიული

ზედამხედველობის, მენეჯმენტის საქმიანობის მონიტორინგისა და რისკების კონტროლის მნიშვნელოვან ფუნქციას. საბჭოს შემადგენლობა ფორმირდება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების, გამოცდილებისა და დამოუკიდებელი ხედვის კომბინაცია.

ჯგუფში ეტაპობრივად ხორციელდება დამოუკიდებელი წევრების ჩართვა სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში, რაც მიზნად ისახავს:

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ობიექტურობის გაძლიერებას;
- ფინანსური და საოპერაციო რისკების შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას;
- საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის ინტეგრაციას.

დამოუკიდებელი წევრები არ მონაწილეობენ ჯგუფის ყოველდღიურ საოპერაციო მართვაში და არ ფლობენ ისეთ ბიზნეს ან სხვა ინტერესებს, რომლებიც შეიძლება ზღუდავდეს მათ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მათი როლი მიმართულია ზედამხედველობის, კონსულტაციისა და კონტროლის ფუნქციებზე.

აუდიტის კომიტეტი

ჯგუფში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში მოქმედ სპეციალიზებულ ორგანოს და მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და შიდა კონტროლის სისტემების გაძლიერებას.

აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განხილვა და შეფასება მის დამტკიცებამდე;
- გარე აუდიტორის შერჩევის პროცესში მონაწილეობა და აუდიტის შედეგების განხილვა;
- შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობის მონიტორინგი;
- ფინანსური და შესაბამისობის რისკების ზედამხედველობა;
- მენეჯმენტთან და აუდიტორებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

აუდიტის კომიტეტი თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფინანსური ინფორმაციის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა და დამოუკიდებლობა

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა ფორმირდება ისე, რომ:

- კომიტეტის წევრთა უმრავლესობა იყოს არასრულადმასრულებელი წევრი;
- მინიმუმ ერთი წევრი ფლობდეს ფინანსურ და აუდიტორულ სფეროში შესაბამის გამოცდილებას;
- უზრუნველყოფილი იყოს კომიტეტის წევრთა დამოუკიდებლობა მენეჯმენტისგან.

აუდიტის კომიტეტის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და მოქმედებენ დამტკიცებული წესდებისა და შიდა დოკუმენტების შესაბამისად.

შიდა კონტროლი და ანგარიშგების პროცესები

ჯგუფში მოქმედებს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს:

- ფინანსური ანგარიშგების სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველყოფას;
- აქტივების დაცვას;
- საოპერაციო პროცესების ეფექტიანობას;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

შიდა კონტროლის პროცესები ინტეგრირებულია ჯგუფის ERP სისტემაში და მოიცავს უფლებამოსილების განაწილებას, პროცესების დოკუმენტირებასა და რეგულარულ მონიტორინგს. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებს მენეჯმენტი და, საჭიროების შემთხვევაში,

სამეთვალყურეო საბჭო.

აქციონერთა უფლებები და ინტერესთა ბალანსი

ჯგუფი უზრუნველყოფს აქციონერთა უფლებების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა აქციონერს აქვს თანაბარი უფლებები მათი წილის პროპორციულად, მათ შორის:

- საერთო კრებაში მონაწილეობის;
- ხმის მიცემის;
- ინფორმაციის მიღების;
- დივიდენდების მიღების (დადგენილი პოლიტიკის ფარგლებში).

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინტერესთა ბალანსის დაცვას აქციონერებს, მენეჯმენტსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

კორპორაციული მართვის შემდგომი განვითარება

კორპორაციული მართვის სისტემა განიხილება როგორც დინამიკური და განვითარებადი ჩარჩო. ჯგუფის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, დაგეგმილია:

- სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონალის შემდგომი გაძლიერება;
- შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების დამატებითი ფორმალიზაცია;
- ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის პრაქტიკის გაუმჯობესება;
- კორპორაციული მართვის სისტემის ეტაპობრივი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

11. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

ჯგუფში მოქმედებს შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტის, სანდოობისა და დროულობის უზრუნველყოფას, ასევე საოპერაციო და ფინანსური რისკების იდენტიფიკაციასა და შემცირებას. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ჯგუფის კორპორაციული მართვის ჩარჩოს მნიშვნელოვან კომპონენტს.

შიდა კონტროლის სისტემა მორგებულია ჯგუფის საქმიანობის მასშტაბსა და სტრუქტურაზე და ვითარდება ეტაპობრივად ბიზნესის ზრდისა და ინსტიტუციონალიზაციის პარალელურად.

შიდა კონტროლის ჩარჩო

შიდა კონტროლის სისტემა ეფუძნება პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, პროცესების დოკუმენტირებას და კონტროლის მექანიზმების ინტეგრაციას საოპერაციო და ფინანსურ პროცესებში. ძირითადი ელემენტებია:

- უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა;
- კონტროლის წერტილების განსაზღვრა ძირითად პროცესებში;
- ფინანსური მონაცემების მრავალდონიანი შემოწმება;
- ინფორმაციული სისტემების გამოყენება მონაცემთა სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

შიდა კონტროლის ჩარჩო მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე დეტექციურ კონტროლებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხორციელდება ცენტრალიზებულად და ეფუძნება IFRS-ის მოთხოვნებს. პროცესი მოიცავს:

- პირველადი მონაცემების აღრიცხვას ERP სისტემაში;
- ანგარიშგების მომზადებას ჯგუფის ფინანსური დეპარტამენტის მიერ;
- შიდა გადამოწმებას და ანალიზს;
- საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის განხილვას;

- გარე აუდიტორის მიერ შემოწმებას.

აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის სანდოობას და შესაბამისობას მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება

ჯგუფი ახორციელებს რისკების სისტემურ იდენტიფიკაციას, რაც მოიცავს:

- ფინანსურ რისკებს;
- საოპერაციო რისკებს;
- შესაბამისობისა და მარეგულირებელ რისკებს.

რისკები ფასდება მათი ალბათობისა და შესაძლო გავლენის მიხედვით და აისახება მენეჯმენტის გადაწყვეტილებებში. მნიშვნელოვანი რისკების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სამეთვალყურეო საბჭოს.

შიდა კონტროლის ეფექტიანობის მონიტორინგი

შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა მონიტორინგდება:

- მენეჯმენტის რეგულარული შეფასების გზით;
- აუდიტის კომიტეტის ზედამხედველობით;
- შიდა და გარე აუდიტის შედეგების გათვალისწინებით.

იდენტიფიცირებული ხარვეზები და გაუმჯობესების სფეროები გამოიყენება კონტროლის მექანიზმების შემდგომი დახვეწისთვის.

ინფორმაციული სისტემები და მონაცემთა უსაფრთხოება

ჯგუფი იყენებს თანამედროვე ERP და სხვა ინფორმაციულ სისტემებს ფინანსური და საოპერაციო მონაცემების მართვისთვის. აღნიშნული სისტემები უზრუნველყოფს:

- მონაცემთა ერთიანობასა და სიზუსტეს;
- წვდომის კონტროლს;
- მონაცემთა დაცვას უნებართვო გამოყენებისგან.

ინფორმაციული სისტემები წარმოადგენს შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ საფუძველს.

შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემის შეფასება

მენეჯმენტის შეფასებით, შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს ადეკვატურ და ეფექტიან ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სანდოობას და რისკების მართვას ჯგუფის მიმდინარე განვითარების ეტაპზე. სისტემა განიხილება როგორც განვითარებადი და მუდმივად დახვეწადი პროცესი.

12. პარტნიორთა და პარტნიორთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

ჯგუფი უზრუნველყოფს პარტნიორთა უფლებების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის, ჯგუფის წესდებისა და კორპორაციული მართვის პრინციპების შესაბამისად. პარტნიორთა უფლებები განიხილება როგორც კორპორაციული მართვის სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტი და უზრუნველყოფს ჯგუფის მფლობელთა ინტერესების დაცვასა და ბალანსს მენეჯმენტთან.

პარტნიორთა ძირითადი უფლებები

პარტნიორებს აქვთ შემდეგი ძირითადი უფლებები მათი წილის პროპორციულად:

- მონაწილეობა პარტნიორთა საერთო კრებაში და ხმის მიცემა;
- ინფორმაციის მიღება ჯგუფის საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- მოგების (დივიდენდების) მიღება დადგენილი პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
- ჯგუფის წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების განხორციელება.

ჯგუფი უზრუნველყოფს პარტნიორთა თანაბარ მოპყრობას და არ უშვებს დისკრიმინაციას წილის ოდენობის ან სხვა ნიშნით.

პარტნიორთა საერთო კრება

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს ჯგუფის უმაღლეს მმართველ ორგანოს. საერთო კრება იკრიბება მოქმედი კანონმდებლობითა და ჯგუფის წესდებით დადგენილი წესით და განიხილავს ჯგუფისთვის არსებით საკითხებს.

პარტნიორთა საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის, მათ შორის:

- წლიური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება;
- მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- მმართველობითი და ზედამხედველი ორგანოების არჩევა, შეცვლა ან უფლებამოსილების შეწყვეტა;
- ჯგუფის წესდებაში ცვლილებების დამტკიცება;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხების განხილვა და დამტკიცება.

პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა და ჩატარების წესი

პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და ჯგუფის წესდების შესაბამისად.

პარტნიორებს დროულად ეცნობებათ:

- კრების ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;
- დღის წესრიგი;
- განსახილველი საკითხებისა და გადაწყვეტილებების პროექტები, საჭიროების შემთხვევაში.

პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების პროცესი უზრუნველყოფს პარტნიორთა ინფორმირებულ მონაწილეობას, გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობასა და პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პარტნიორებისთვის

ჯგუფი უზრუნველყოფს პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის:

- წლიური და შუალედური ფინანსური ანგარიშგება;
- მმართველობითი და არაფინანსური ანგარიშგება;
- მნიშვნელოვანი კორპორაციული გადაწყვეტილებები;
- ინფორმაცია ჯგუფის რისკების, სტრატეგიისა და განვითარების გეგმების შესახებ.

ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება კანონმდებლობითა და ჯგუფის შიდა დოკუმენტებით დადგენილი ფორმითა და ვადებით.

პარტნიორთა უფლებების დაცვის მექანიზმები

ჯგუფში მოქმედებს პარტნიორთა უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს:

- პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების იდენტიფიკაციასა და მინიმუმზავს;
- პარტნიორთათვის გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფას კანონმდებლობის ფარგლებში.

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პარტნიორთა და მენეჯმენტის ინტერესთა ბალანსის დაცვას.

პარტნიორთა უფლებების პრაქტიკული განხორციელება

მენეჯმენტის შეფასებით, საანგარიშგებო პერიოდში პარტნიორთა უფლებების განხორციელება ხორციელდებოდა შეუფერხებლად და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში. არ დაფიქსირებულა პარტნიორთა უფლებების შეზღუდვის ან დარღვევის შემთხვევები.

13. მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა

მმართველობითი ორგანო პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საოპერაციო მართვაზე და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. აღმასრულებელი მენეჯმენტი მოქმედებს პარტნიორთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში.

აღმასრულებელი მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია:

- ჯგუფის სტრატეგიის განხორციელება და საოპერაციო გეგმების შესრულება;
- ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლების მართვა;
- რესურსების ეფექტიანი განაწილება;
- შიდა კონტროლისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა;
- თანამშრომელთა მართვა და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა.

მენეჯმენტის საქმიანობა რეგულარულად ფასდება ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს ჯგუფის ზედამხედველ ორგანოს და მისი შემადგენლობა ფორმირდება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს:

- პროფესიული კომპეტენციების მრავალფეროვნება;
- ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული გამოცდილება;
- დამოუკიდებელი ხედვის არსებობა.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან არასრულწლოვანი წევრები, მათ შორის დამოუკიდებელი წევრები, რომლებიც არ არიან ჩართულნი ჯგუფის ყოველდღიურ საოპერაციო მართვაში. დამოუკიდებელი წევრების ჩართულობა მიზნად ისახავს ობიექტურობისა და ზედამხედველობის ხარისხის გაუმჯობესებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირება

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს თავის საქმიანობას რეგულარული სხდომების გზით. საბჭოს ფუნქციებია:

- ჯგუფის სტრატეგიისა და განვითარების გეგმების განხილვა;
- ფინანსური შედეგებისა და ბიუჯეტის მონიტორინგი;
- რისკების მართვის სისტემების შეფასება;
- აუდიტის კომიტეტის საქმიანობის ზედამხედველობა;
- მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების გაცემა.

საბჭოს სხდომებზე განიხილება როგორც რეგულარული, ისე განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები.

მმართველობითი და ზედამხედველი ფუნქციების გამიჯვნა

ჯგუფში მკაფიოდ არის გამიჯნული:

- აღმასრულებელი ფუნქცია – რომელიც ეკისრება მენეჯმენტს;
- ზედამხედველი ფუნქცია – რომელიც ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

აღნიშნული გამიჯვნა ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობასა და კონტროლს.

ანგარიშვალდებულება და კომუნიკაცია

აღმასრულებელი მენეჯმენტი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და უზრუნველყოფს:

- რეგულარული ფინანსური და საოპერაციო ანგარიშების წარდგენას;
- მნიშვნელოვან რისკებისა და მოვლენების დროულ კომუნიკაციას;
- საბჭოს რეკომენდაციების შესრულებას.

სამეთვალყურეო საბჭო, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია პარტნიორთა საერთო კრების წინაშე.

ორგანოების ეფექტიანობის შეფასება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს მმართველობითი და ზედამხედველი ორგანოების ფუნქციონირების ეფექტიანობას. შეფასების მიზანია:

- გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესება;
- როლებისა და პასუხისმგებლობების დახვეწა;

კორპორაციული მართვის სისტემის შემდგომი განვითარება.

14. მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა

ჯგუფი აცნობიერებს, რომ მმართველობითი და ზედამხედველი ორგანოების შემადგენლობაში დივერსიფიკაცია წარმოადგენს კორპორაციული მართვის ეფექტიანობისა და გადაწყვეტილებების ხარისხის მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ მიზნით, ჯგუფი ეტაპობრივად ავითარებს მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული გამოცდილების, კომპეტენციების და ხედვების მრავალფეროვნებას.

დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიზანი

დივერსიფიკაციის პოლიტიკის ძირითადი მიზანია:

- მმართველობითი და ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობის გაზრდა;
- სტრატეგიული და ფინანსური საკითხების განხილვის ხარისხის გაუმჯობესება;
- რისკების უკეთ იდენტიფიკაცია და შეფასება;
- საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის ინტეგრირება.

ჯგუფი დივერსიფიკაციას განიხილავს როგორც პრაქტიკულ ინსტრუმენტს, და არა მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნას.

დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ფორმირებისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები – ფინანსები, აუდიტი, ოპერაციები, სტრატეგიული დაგეგმვა, წარმოება, საცალო ვაჭრობა;
- დამოუკიდებელი წევრების ჩართულობა – მენეჯმენტისგან დამოუკიდებელი ხედვის უზრუნველყოფის მიზნით;

- **ფუნქციური მრავალფეროვნება** – საოპერაციო, ფინანსური და ზედამხედველი გამოცდილების კომბინაცია;
- **ხედვებისა და გამოცდილების განსხვავებულობა** – რაც ხელს უწყობს საკითხების მრავალმხრივ განხილვას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მმართველი ორგანოების კომპლემენტარულ ფუნქციონირებას.

დამოუკიდებელი წევრების როლი დივერსიფიკაციის კონტექსტში

დამოუკიდებელი წევრების ჩართულობა წარმოადგენს დივერსიფიკაციის პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს. მათი მონაწილეობა:

- ამცირებს გადაწყვეტილებების მიღებისას სუბიექტურობის რისკს;
- ამღიერებს ფინანსური და რისკების ზედამხედველობის ფუნქციას;
- ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირებას.

დამოუკიდებელი წევრები არ მონაწილეობენ ჯგუფის ყოველდღიურ საოპერაციო მართვაში და არ ფლობენ ისეთ ინტერესებს, რომლებიც ზღუდავს მათ დამოუკიდებლობას.

დივერსიფიკაციის პოლიტიკის ფორმალიზაციის ეტაპი

ჯგუფის განვითარების მიმდინარე ეტაპზე დივერსიფიკაციის პოლიტიკა ხორციელდება პრინციპების დონეზე და ეტაპობრივად ფორმალიზდება. ჯგუფი გეგმავს:

- დივერსიფიკაციის პოლიტიკის შიდა დოკუმენტად ჩამოყალიბებას;
- კრიტერიუმების უფრო დეტალურად განსაზღვრას;
- მმართველობითი ორგანოების შემადგენლობის პერიოდულ გადახედვას.

აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ჯგუფის განვითარების ეტაპს და უზრუნველყოფს მოქნილობას.

15. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ პირი ან პირთა ჯგუფი იძენს კონტროლს ჯგუფის მიმართ კანონით დადგენილი ზღვრის გადალახვის შედეგად.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს „ნოვასთან“ მიმართებით სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა არ დამდგარა. ჯგუფის მფლობელობის სტრუქტურაში:

- არ განხორციელებულა ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევდა კონტროლის მოპოვებას მესამე პირის მიერ;
- არ დაფიქსირებულა წილების ისეთი გადანაწილება, რომელიც საჭიროებდა სატენდერო შეთავაზების განხორციელებას;
- არ ყოფილა შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობა.

ჯგუფი მონიტორინგს უწევს მფლობელობის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ცვლილებებს და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში წარმოიშობა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება, ჯგუფი იმოქმედებს კანონით დადგენილი წესით და უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულ გამჟღავნებას.

არაფინანსური ანგარიშგება

16. არაფინანსური საკითხები

შპს „ნოვა“ არაფინანსურ საკითხებს განიხილავს როგორც ჯგუფის მდგრადი განვითარების განუყოფელ ნაწილს. ჯგუფის მიდგომა ეფუძნება პასუხისმგებლიან ბიზნესპრაქტიკას, სოციალურ ჩართულობას, გარემოსდაცვით ცნობიერებასა და თანამედროვე მართვის ინსტრუმენტების დანერგვას.

არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებს და ასახავს როგორც

განხორციელებულ ინიციატივებს, ისე განვითარების სამომავლო მიმართულებებს.

17. ბიზნესმოდელის მიმოხილვა (ESG კონტექსტში)

ნოვას ბიზნესმოდელი ეფუძნება ღირებულების ჯაჭვს:

შესყიდვა → წარმოება → ლოჯისტიკა/საწყობი → გაყიდვები → after-sales მომსახურება

ESG ფაქტორები ინტეგრირებულია თითოეულ ეტაპზე:

- პროდუქციის შერჩევისას – უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტები;
- წარმოებაში – ტექნოლოგიური კონტროლი და რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- გაყიდვებში – მომხმარებლის ინფორმირება და პასუხისმგებლიანი კომუნიკაცია;
- after-sales პროცესში – უკუკავშირი და ხარისხის გაუმჯობესება.

შპს „ნოვას“ ბიზნესმოდელი ეფუძნება გრძელვადიანი ღირებულებების შექმნას და ჯგუფის საქმიანობის ინტეგრირებას გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით პრინციპებთან. ESG მიდგომა მენეჯმენტის მიერ განიხილება არა როგორც ცალკე ინიციატივა, არამედ როგორც ბიზნეს პროცესების ბუნებრივი გაგრძელება, რომელიც ასახავს ჯგუფის ოპერაციულ და მმართველობით პრაქტიკას.

ჯგუფის ოპერაციული მოდელი აერთიანებს ადგილობრივ წარმოებას, იმპორტს, ლოჯისტიკას და საცალო და საბითუმო რეალიზაციას, რაც უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის კონტროლს და ოპერაციულ მდგრადობას. აღნიშნული სტრუქტურა ამცირებს გარე ფაქტორებზე დამოკიდებულებას და ქმნის საფუძველს პროგნოზირებადი საქმიანობისთვის.

გარემოსდაცვითი (E) კონტექსტი

ბიზნესმოდელი მიმართულია უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებაზე და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. ადგილობრივი წარმოების განვითარება განიხილება როგორც გარემოზე ზემოქმედების შემცირების ერთ-ერთი საშუალება, მათ შორის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზემოქმედების კუთხით. ჯგუფი მონაწილეობს საინფორმაციო კამპანიებში, რომლებიც ხელს უწყობს უსაფრთხო მასალების გამოყენებას სამშენებლო სექტორში.

სოციალური (S) კონტექსტი

ჯგუფის საქმიანობა უზრუნველყოფს ფართო დასაქმებას და სტაბილურ სამუშაო გარემოს. ადამიანური რესურსები განიხილება როგორც ღირებულების შექმნის მთავარი ფაქტორი, ხოლო სოციალური პასუხისმგებლობა გამოიხატება შრომის უსაფრთხოებაში, დაზღვევაში, პროფესიული განვითარების მხარდაჭერასა და საგანმანათლებლო და კულტურულ პროექტებში მონაწილეობით.

მმართველობითი (G) კონტექსტი

ბიზნესმოდელის მართვა ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს. შიდა კონტროლის მექანიზმები და რისკების მართვა ინტეგრირებულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ჯგუფის საქმიანობის სტაბილურობას და პროგნოზირებადობას.

მენეჯმენტის შეფასებით, ESG პრინციპების ინტეგრირება ბიზნესმოდელში აძლიერებს ჯგუფის მდგრადობას, ამცირებს გრძელვადიან რისკებს და ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების განვითარებას.

18. საქმიანობის რისკების ანალიზი

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია რიგ არაფინანსურ რისკებთან, რომელთაგან ძირითადი კატეგორიებია:

- პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს;

- მომხმარებლის ინფორმირებულობის ნაკლებობას;
- ადამიანური კაპიტალის განვითარების რისკებს;
- ტექნოლოგიურ ჩამორჩენას.

ჯგუფი აღნიშნულ რისკებს პასუხობს უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტების დაცვით, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებასკენ მიმართული საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებით, თანამშრომელთა ტრენინგებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით, ასევე ციფრული ტექნოლოგიების ეტაპობრივი დანერგვით.

მენეჯმენტის შეფასებით, არაფინანსური რისკების მართვა წარმოადგენს ბიზნეს პროცესების განუყოფელ ნაწილს და ხელს უწყობს ჯგუფის საქმიანობის სტაბილურობას, რეპუტაციულ მდგრადობასა და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას.

19. სოციალური პასუხისმგებლობა და CSR ინიციატივები

„ნოვას“ სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომა ეფუძნება ჯგუფის როლის გააზრებას როგორც პასუხისმგებელი დამსაქმებლისა და საზოგადოების აქტიური მონაწილისა. CSR ინიციატივები განიხილება არა როგორც ცალკე მდგომი აქტივობები, არამედ როგორც ბიზნესმოდელისა და მმართველობითი პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი.

ჯგუფი მონაწილეობს საგანმანათლებლო, სოციალურ და კულტურულ პროექტებში, რომლებიც მიმართულია პროფესიული ცოდნის გაზიარებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ. აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს მომხმარებლების, პარტნიორებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და ჯგუფის რეპუტაციის გამყარებას როგორც პასუხისმგებელი ბიზნესის წარმომადგენლის.

სოციალური პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ ღონისძიებებს, მათ შორის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევების დაზღვევას და სტაბილური დასაქმების პირობების შექმნას. ეს მიდგომა განიხილება როგორც ადამიანური რესურსების მართვისა და ოპერაციული მდგრადობის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

მენეჯმენტის შეფასებით, CSR ინიციატივები ხელს უწყობს ჯგუფის გრძელვადიან მდგრადობას, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და სოციალური ღირებულების შექმნას იმ გარემოში, სადაც ჯგუფი ოპერირებს.

20. დიჯიტალიზაცია და ადამიანური რესურსის განვითარება

დიჯიტალური ტრანსფორმაცია

ჯგუფი აქტიურად ახორციელებს ბიზნესპროცესების დიჯიტალიზაციას, რაც მოიცავს:

- **Bitrix24** – პროცესების, დავალებებისა და შიდა კომუნიკაციის მართვა;
- **Moodle** – თანამშრომელთა ტრენინგისა და ცოდნის მართვის პლატფორმა;
- **Signify** – დოკუმენტების ციფრული დამტკიცებისა და კონტროლის სისტემა;
- **Selfi** – HR და შიდა ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაცია.

დიჯიტალიზაცია ამცირებს შეცდომების რისკს, ზრდის გამჭვირვალობას და აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფეს.

ადამიანური რესურსი

შპს „ნოვას“ ადამიანური რესურსები წარმოადგენს ჯგუფის ოპერაციული საქმიანობისა და გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. ორგანიზაციული სტრუქტურა და კადრების მართვის მიდგომა ჩამოყალიბებულია ისე, რომ უზრუნველყოფდეს როგორც მიმდინარე პროცესების ეფექტიანობას, ისე სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერას.

ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, კადრების შერჩევის სტანდარტიზებულ პროცესებსა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. ჯგუფი ახორციელებს თანამშრომელთა ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს, რაც ხელს უწყობს შიდა კომპეტენციების განვითარებას და ორგანიზაციის შიგნით ცოდნის შენარჩუნებას.

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებასა და სამუშაო გარემოს სტაბილურობას. თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევების დაზღვევით, რაც წარმოადგენს რისკების მართვისა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან ელემენტს.

მენეჯმენტის შეფასებით, ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს ოპერაციული რისკების

შემცირებას, პროცესების მდგრადობას და ჯგუფის გრძელვადიანი ღირებულების შექმნას.

21. EBRD – BLUE RIBBON პროგრამა და მისი გავლენა

შპს „ნოვა“ მონაწილეობს EBRD-ის Blue Ribbon Programme-ში, რომელიც წარმოადგენს მაღალი პოტენციალის მქონე კომპანიებისთვის განკუთვნილ ინსტიტუციონალურ განვითარების პლატფორმას.

Blue Ribbon Programme-ის ფარგლებში:

- განხორციელდა კორპორაციული მართვის, ფინანსების, ოპერაციების, HR და სტრატეგიული მართვის მიმართულებით კონსულტაციები;
- დაინერგა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა;
- გაძლიერდა მენეჯმენტის ფუნქციონირება;

შესაბამისად ჯგუფში ჩამოყალიბდა განვითარების უფრო სტრუქტურირებული ხედვა.

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი ვადასტურებთ, რომ შპს „ნოვა“ 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არის სრული, სწორი და სამართლიანი.

გენერალური დირექტორი

სახელი, გვარი: ედიშერ ხიმშიაშვილი

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სახელი, გვარი: ზვიად აბულაძე

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

შპს „ნოვა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს „ნოვას“ 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არის სრული, სწორი და სამართლიანი.

გენერალური დირექტორი

სახელი, გვარი: ედიშერ ხიმშიაშვილი

ხელმოწერა: 

თარიღი: 14.05.2026წ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სახელი, გვარი: ზვიად აბულაძე

ხელმოწერა: 

თარიღი: 14.05.2026წ.